ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

გვ.5

დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის მიერ აქტივისტისთვის დარტყმის საქმეს შს შეისწავლის

მარეგულირებელმა ტვ პირველი 23.513 ლარით დააჯარიმა

გვ.5

ოთხშაბათი, 4 სექტემბერი, 2019 №209 (8163) ფასი: 60 თეთრი

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ნუ გაამწვავებთ დაპირისპირებას!

გვ.2

„გავრილოვის ღამეს“ შეტევაზე ხელისუფლება გადმოვიდა და არა მომიტინგეები

გვ.3

სერგო რატიანი: „ივანიშვილმა მოძალადე ძალოვნები თავზე დაგვასვა!“

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილმა გახარია განირა“

ამ ქვეყანაში ყველაფრის მინისტრი ერთი კაცია

გვ.4

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილმა გამოგვიცხადა ომი და ეს ომი ღირსეულად უნდა მოვიგოთ“

გვ.3

ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობით ივანიშვილმა ალასანიაც გამოიწვია?!

გვ.4

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“ რეალობას მოსწყდა“

„გახარიას წინააღმდეგ გამომსვლელი რომ ყოფილიყო საზოგადოება, მისი შს მინისტრობის დროს გამოვიდოდა“

სამართალი გვ.5

ბათუმში 947 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს

დაკავებულია ერთი პირი

ღარიბაშვილის ძველი სკანდალი — ჯანელიძის ზარი პარიზში ალასანიასთან და კაბელების საქმე

სუს-ის უფროსად, სავარაუდოდ, გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნება

ნადირობის სეზონის გახსნიდან დღემდე უკანონო ნადირობის 132 ფაქტი გამოვლინდა

ISSN 1987-9385

2 „ძნელია, გახარიას პოპულარული პოლიტიკოსი ვუწოდოთ“

2 „ჩვენი მთავარი მოთხოვნა ხდება, არ დანიშნონ პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარია“

5 საპატრულო პოლიციის უფროსი: „პარლამენტის შესასვლელის ბლოკირება არ შეიძლება“

2 პარლამენტი მთავრობას კენჭს 8 სექტემბერს, კვირას უყრის

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, ნუ გაამწვავებთ დაპირისპირებას!

გუშინ, 3 სექტემბერს, ბიძინა ივანიშვილმა მორიგი დაანონსებული სამთავრობო კარუსელი დაატრიალა. გახარია – პრემიერი, ღარიბაშვილი – თავდაცვის მინისტრი, გომელაური – შინაგან საქმეთა მინისტრი.

მიუხედავად მოლოდინისა, საზოგადოებას არ სჯეროდა მოარული ხმებისა, რომ გავრილოვის ღამის შემოქმედ გახარიას პრემიერად დაასახელებდა.

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციისათვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. პარლამენტის სხდომა რამდენიმეჯერ შეწყდა სტვენისა და ხმაურის გამო. პარლამენტის თავმჯდომარემ მოლაპარაკება ვერ შეძლო ოპოზიციასთან, ევროპულმა საქართველომ პროტესტის ნიშნად სხდომა დატოვა.

დაძაბული აქცია მიმდინარეობდა პარლამენტის გარეთაც.

გაერთიანებული ოპოზიცია გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგინებას პარლამენტის წინ აქციაზე აპროტესტებს. განცხადება ამასთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტთან გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ გააკეთა. ვაშაძის თქმით, ხელისუფლება საბოლოოდ დაუპირისპირდა საკუთარ მოქალაქეებს და გუშინდელი გადაწყვეტილებით შეაფურთხა როგორც სახელმწიფოსაც, ოპოზიციასაც და სამოქალაქო საზოგადოებასაც. ვაშაძემ გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალ ყველა პარტიის მხარდამჭერს მოუწოდა, რომ გუშინ 7 საათზე პარლამენტის შენობასთან შეკრიბილიყვნენ და ხელისუფლება ეიძულებინათ, გიორგი გახარია პრემიერ-მინისტრად არ დაეტკიცებინა:

– დღე მშვიდობისაო, ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საზოგადოებაში გაგრძელდეს პოლიტიკური სამოქალაქო ომი, რომ გაგრძელდეს დაპირისპირება და საშუალება არ მისცეს სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება, იმის მაგივრად რომ წყნარად და მშვიდად მოვემზადოთ საპარლამენტო არჩევნებისათვის, ერთი პროვოკაციული ნაბიჯი იცვლება მეორეთი. გახარიას წარდგენა პრემიერ-მინისტრის პოსტზე არის შეფურთხება ჩვენი სახელმწიფოსათვის, საზოგადოებისთვის, ოპოზიციური სპექტრისთვის და განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, ვინც თავის კონსტიტუციურ უფლებებს და ქვეყნის ინტერესებს იცავდნენ 20 ივნისს და ჯანმრთელობა დაკარგეს. არც ერთი ამ ადამიანის ჯანმრთელობა არ ღირს არც გახარიად და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებად, რომელიც არის განწირული და დაპირისპირებული საქართველოს მოქალაქეესთან და ოპოზიციურ სპექტრთან. ყველაფერი უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, სამოქალაქო საზოგადოებამ რომ გახარიას დამტკიცება პრემიერ-მინისტრის პოსტზე არ მოხდეს. კატეგორიულად მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, შეცვალეთ ეს კანდიდატურა, ნუ გაამწვავებთ დაპირისპირებას.

ჩვენს ყველა წევრსა და მხარდამჭერს, მხედველობაში მაქვს გაერთიანებული ოპოზიცია, მოვუწოდებთ, ხმამაღლა ვთქვათ ის ჩვენი სათქმელი, რაც გვაქვს და რაც იმას ნიშნავს, რომ აღარ მოვითმენთ ამდენ დამცირებასა და შეურაცხყოფას იმ ჯგუფისგან, რომელიც თავის თავს ხელისუფლებას ეძახის. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ ადამიანის, რომელიც ჯალათად გამოვიდა 20 ივნისს, დამტკიცება არ მოხდეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ბაჩუკი ქარდავას თქმით, ახლა ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მთავარი ამოცანა არის ის, რომ დამნაშავე რუსული რეჟიმი მთავრობის სახით არ უნდა გაფორმდეს, ამის მიღწევის გზად კი ბაჩუკი ქარდავა ქუჩის პროტესტს ასახელებს, რადგან ივანიშვილის რეჟიმმა ხალხს სხვა გზა არ დაუტოვა:

– ჩვენ უნდა გავიდეთ ქუჩაში, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა დაადუმა ინსტიტუციები. მას უნდა გავაგონოთ ჩვენს ხელში არსებული უკანასკნელი ინსტიტუციის ხმა ხმამაღლა. ეს არის ქუჩა. ეს აქციები არ უნდა დასრულდეს და არ დასრულდება მანამ, სანამ არ შევაჩერებთ პრორუსული, დამნაშავე მთავრობის დამტკიცებას ამ პარლამენტში. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, დანარჩენი ხალხის არჩევანია. პერმანენტულ აქციებამდე ჩვენ გვაქვს უახლოესი 3-4 დღის დღის წესრიგი მთავრობის დამტკიცების პროცედურამდე.

ახლა გვაქვს ერთი ამოცანა, დამნაშავე რუსული რეჟიმი მთავრობის სახით არ უნდა გაფორმდეს, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

ბაჩუკი ქარდავა პარლამენტის წინ მიმდინარე პერმანენტულ საპროტესტო აქციასაც გამოეხმაურა. მისი თქმით, ამ ბრძოლაში გადამწყვეტი ადგილი ექნებათ ახალგაზრდებს.

– ამ ადამიანებმა 76 დღის განმავლობაში გმირულად იბრძოლეს, ჩვენ და ჩვენი აქტივისტები მათ გვერდში ვიდექით. ჩვენ მოვუწოდებთ პროდასავლურად მოაზროვნე ყველა პარტიას, კოორდინირებული, ერთობლივი მოქმედებით დავასრულოთ ეს რეჟიმი. ბუნებრივია, ამ ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი ნაწილი აქვთ და ექნებათ ახალგაზრდებს, – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

„ოცნება“ წარსულში გვაბრუნებს, – მიაჩნია დეპუტატ დავით ჭიჭინაძეს.

– პრემიერმინისტრობა ამ ქვეყანაში, თურმე, კულუარებში უნდა დაიმსახურო. როგორც ჩანს, მსოფლიოში ბოლო დროს მიმდინარე პროცესებმა გავლენა იქონია ამ გადაწყვეტილების მიღებაზე და კურსის ცვლილება სახეზე გვაქვს, ანუ პრემიერ-მინისტრად და ძალოვან მინისტრებად მივიღეთ უფრო პრორუსული მთავრობა, ვიდრე აქამდე გვყავდა. ამან კი, არა მგონია, რამე სიკეთე მოგვიტანოს, რადგან ეს იქნება ყველაზე დეგრადირებული ვარიანტი, იმიტომ, რომ დაკარგული გვაქვს ყველანაირი სახე და პოზიცია. ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა დავივიწყოთ „ქართული ოცნების“ ყველა დაპირება, რომლებიც 2012 წლიდან გაუცია და დაველოდოთ ახალ ლოზუნგს – „უკან წარსულში“, – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე კი ირწმუნება, რომ „გიორგი გახარიას დაუგროვდა ძალიან პოზიტიური გამოცდილება, ამიტომ პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სწორედ ის არის კანდიდატი, რომელმაც უნდა დაიკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

– გიორგი გახარიას დაუგროვდა ძალიან პოზიტიური გამოცდილება, როგორც უფლებების დაცვის სფეროში, აქედან დაიწყო მან, ისე ეკონომიკის სფეროში, სადაც ძალიან წარმატებით ართმევდა თავს თავის მოვალეობას და შემდეგ იურიდიულ სფეროში, სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობით. აქედან გამომდინარე, პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სწორედ ის არის კანდიდატი, რომელმაც უნდა დაიკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. ჩვენ ვფიქრობთ, გვექნება ძალიან საინტერესო კვირა, მოვისმენთ პროგრამას, რომელიც იქნება მორგებული იმ მთავარ გამოწვევებზე, რომლებიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია და ვფიქრობთ, რომ ამ კვირის განმავლობაში, მათ შორის იმ კითხვებსაც, რასაც დღეს სვამთ, გაეცემა დეტალური და ამომწურავი პასუხები, – განაცხადა მდინარაძემ.

სერგეი გავრილოვის პოზიციას გიორგი გახარიას პრემიერობის კანდიდატად წარდგენის შესახებ პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი ეხმაურება და აცხადებს, რომ რუსი დეპუტატის განცხადება გასაკვირი არ არის.

– რუსეთისთვის ეს არის მისაღები გადაწყვეტილება თუნდაც ე.წ. გავრილოვის ღამიდან გამომდინარე. რუსეთმა ეს პროცესი დაინახა ისე, რომ გახარიამ რუსი დეპუტატის შეურაცხყოფისთვის დასაჯა ქართველი ხალხი. ეს იქცა სიმბოლოდ, რომელიც დაუკავშირდა გახარიას. გავრილოვს ეს რომ მოსწონებოდა, არ არის გასაკვირი, – აცხადებს გია ხუხაშვილი.

ვატო წერეთელი: „მარეგულირებელმა 23 ათასით დაგვაჯარიმა. ეს ტელევიზია მაინც არ გაითიშება!“

– მარეგულირებელმა 23 ათასით დაგვაჯარიმა ეთერში გაშვებული ლიცენზირებული ფილმების გამო... არის თუ არა ეს შემთხვევითობა... ეს ტელევიზია მაინც არ გაითიშება! – წერს სოციალურ ქსელში, ტვ პირველის დამფუძნებელი ვატო წერეთელი.

– ჯერ იყო კიბერშეტევით ტვ პირველის ეთერიდან გაქრობის საფრთხე, რაზეც გამოძიების პასუხი ამ დრომდე არ მიგვიღია. ახლა, მარეგულირებელმა 23 ათასით დაგვაჯარიმა ეთერში გაშვებული ლიცენზირებული ფილმების გამო. ეს ფილმები ტელევიზიამ ოფიციალური კონტრაქტით შეისყიდა, მაგრამ მარეგულირებელმა მაინც დაგვაკისრა ჯარიმა. ტელევიზიას, რომელიც მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით არსებობს და ბიუჯეტთანაც პირნათელია, ამგვარი ფაქტები სერიოზულ ზიანს აყენებს. არის თუ არა ეს შემთხვევითი იმ ფონზე, რაც ამ ტელევიზიის გარშემო ბოლო პერიოდში ვითარდება, თავად განსაჯეთ! ეს ტელევიზია მაინც არ გაითიშება! – წერს ვატო წერეთელი.

პარლამენტი მთავრობას კენჭს 8 სექტემბერს, კვირას უყრის

პარლამენტი მთავრობის ახალ შემადგენლობას ნდობას კვირას, 8 სექტემბერს გამოუცხადებს. პრემიერმინისტრობის კანდიდატად გიორგი გახარია გუშინ დასახელდა.

გახარიამ მთავრობის ახალი შემადგენლობა პარლამენტს გუშინ წარუდგინა. მინისტრობის კანდიდატების მოსმენას პარლამენტი დღეიდან იწყებს.

ბიუროს წევრებს მინისტრთა ახალი კაბინეტი პარლამენტის თავმჯდომარემ გააცნო.

– საქართველოს პრემიერმინისტრობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილია ნდობის გამოცხადებისთვის საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა 2019-2020 წლებისთვის.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პოსტზე დასახელებულია მიხეილ ბატიაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პოსტზე – ლევან დავითაშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პოსტზე – ნათია თურნავა, თავდაცვის მინისტრის პოსტზე – ირაკლი ღარიბაშვილი, იუსტიციის მინისტრის პოსტზე – თეა წულუკიანი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე – ეკატერინე ტიკარაძე, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე – მაია ცქიტიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე – დავით ზალკალიანი, ფინანსთა მინისტრის პოსტზე – ივანე მაჭავარიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე – ვახტანგ გომელაური, სახელმწიფო მინისტრად შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში დასახელებულია ქეთევან ციხელაშვილი, – განაცხადა თალაკვაძემ.



„ჩვენი მთავარი მოთხოვნა ხდება, არ დანიშნონ პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარია“

„სირცხვილიას“ ორგანიზატორების განცხადებით, იმის მაგივრად, რომ 20-21 ივნისის მოვლენებზე გიორგი გახარიას პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო, მას პრემიერ-მინისტრად ნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

„ძნელია, გახარიას პოპულარული პოლიტიკოსი ვუწოდოთ“

გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად წარდგენის ფაქტს უცხოური გამოცემები ეხმაურებიან. განსაკუთრებით პოპულარული თემა რუსულ მედიაშია, თუმცა, რუსული გამოცემების გარდა, საკითხი მცირე მასშტაბებით გააშუქა რამდენიმე საერთაშორისო გამოცემამაც, მათ შორის; „ევრონიუსმა“, „როიტერსმა“ და „ბი ბი სის“ რუსულენოვანმა განყოფილებამ.

როგორც რუსულენოვანი BBC იუწყება, გიორგი გახარია საქართველოში არც ისე პოპულარული პოლიტიკოსია.

– გიორგი გახარიას, ძნელია, ვუწოდოთ პოპულარული პოლიტიკოსი – ამ ზაფხულს მის გადადგომას ათასობით ადამიანი ითხოვდა თბილისის ცენტრში. მას ბრალდება ძალის გადამეტება 21 ივნისს, გავრილოვის ვიზიტის წინააღმდეგ მიმართული აქციის დაშლისას. აქციის დაშლისას პოლიციამ ცრემლსადენი გაზი, ხელკეტები და რეზინის ტყვიები გამოიყენა, 200-ზე მეტი ადამიანი საავადმყოფოში აღმოჩნდა, მათ შორის 30-ზე მეტი ჟურნალისტი. ორ მომიტინგეს კი რეზინის ტყვიებით თვალი ამოსთხარეს, – წერს რუსულენოვანი BBC-ის ჟურნალისტი.

გამოცემა მკითხველს გახარიას შესახებ დამატებით ინფორმაციასაც აწვდის და წერს, რომ იგი 2016 წლამდე საქართველოში მინისტრად დანიშვნამდე რუსეთის მოქალაქე იყო.

რაც შეეხება ღეუტერს-ს, საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო მკითხველს მწირ ინფორმაციას სთავაზობს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებთან დაკავშირებით. სააგენტოს მოსკოვის ბიუროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ერთ წელზე ცოტა მეტ ხნიანი მოღვაწეობის შემდეგ, მამუკა ბახტაძე პოსტიდან გადადგა, მის ნაცვლად კი მმართველმა პარტიამ გიორგი გახარია წარადგინა.

შედარებით ვრცელია „ევრონიუსის“ მიერ გავრცელებული ახალი ამბავი. საერთაშორისო გამოცემა, აღნიშნავს, რომ გახარიას დასახელებამ ოპოზიციაში აღშფოთება გამოიწვია, რადგან მათ, ქვეყნის პირველი პოლიციელი (იგულისხმება გახარია) არაერთხელ დაადანაშაულეს მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადამეტებულად გამოყენებაში.

აქვე „ევრონიუსი“ გახარიას საწინააღმდეგო აქციების „სირცხვილიას“ ერთ-ერთი ორგანიზატორის, ქართველი ჟურნალისტის შოთა დიღმელაშვილის ფეისბუქ პოსტს სთავაზობს მკითხველს, სადაც დიღმელაშვილი წერს, რომ გახარიას პრემიერად წარდგენა, ქვეყანაში უფრო დიდ პროტესტსა და მასშტაბურ გამოსვლებს გამოიწვევს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე პოსტიდან გუშინ გადადგა, მან განცხადება სოცქსელში დაწერა, 1 დღის შემდეგ კი ქართველმა მილიარდერმა და მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია წარადგინა.

bm.ge

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სერგო რატიანი: „ივანიშვილმა მოძალადე ძალოვნები თავზე დაგვასვა!“

„გავრილოვის ღამეს“ შეტევაზე ხელისუფლება გადმოვიდა და არა მომიტინგეები

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ევროპული საქართველოს ერთ-ერთი ლიდერი სერგო რატიანი აფასებს.

– პატონო სერგო, ევროპულ საქართველოს სერიოზული პროტესტი ჰქონდა გიორგი გახარიას პრემიერ-მინისტრად წარდგენის გამო და პარლამენტის თავმჯდომარემ დარბაზიც კი დაგატოვებინათ. როგორია თქვენი შეფასებები ამ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც ივანიშვილმა ამცნო საზოგადოებას?

– პირველ რიგში გეტყვით იმას, რომ ჩვენთვის არავის არ დაუტოვებინებია დარბაზი. ჩვენი პროტესტის შედეგად დარბაზში სხდომა შეწყდა და ტექნიკური შესვენება გამოცხადდა. სანამ ეს არ გამოცხადდა, ჩვენ არ დაგვიტოვებია დარბაზი, ხოლო როცა გამოცხადდა, მერე ჩვენ გამოვედით პროტესტის ნიშნად და აღარც დავბრუნებულვართ.

– საზოგადოებასაც სერიოზული პროტესტი აქვს ამ გადაწყვეტილების გამო.

– დიახ, ასეა. წარმოიდგინეთ, საზოგადოების ნაწილის მოთხოვნა იყო, რომ გახარია, რომელმაც ფაქტობრივად მოაწყო გავრილოვის ღამე, ადამიანები, რომლებიც აპროტესტებდნენ გავრილოვის ჩამოსვლას, გახარიამ ეს აქცია დაარბია.

თქვენთვისაც კარგად ცნობილია, რომ ეს იყო ძალიან მძიმე დარბევა. ესროლეს მშვიდობიან ადამიანებს, ესროლეს ჟურნალისტებს, ოპერატორებს. ამის შემდეგ კი დაიწყეს საუბარი გადატრიალების სულელურ ვერსიაზე და დღეს უდანაშაულო ადამიანები სხედან ციხეში. ეს ადამიანები არიან სრულიად არაპოლიტიკური ადამიანები, საერთოდ არანაირი შეხება რომ არ ჰქონიათ პოლიტიკურ პარტიებთან, ოპოზიციასთან. პირადად მე მოვინახულე ეს ადამიანები და არც კი იციან, ვინ ვარ, ზოგმა საერთოდ ვერც კი მიცნო.

– შემთხვევითი ადამიანები ჰყავთ დაპატიმრებული?

– კი, ასეა. შემთხვევითი ადამიანები არიან ნამდვილად. მაგალითად, ერთ-ერთი დაკავებული არის მამა, რომელმაც ათი საათის მერე დაინახა, რომ არეულობა იწყებოდა, დაურეკა შვილს, იმან ვერ უპასუხა და სწორედ ამის გამო მივიდა რუსთაველზე. შეტევაზე ხელისუფლება გადმოვიდა და არა მომიტინგეები. ჯერ დაარბიეს და მერე დაიჭირეს.

– ამ ფონზე გახარია ხდება პრემიერ-მინისტრი...

– ამ ფონზე რა გზავნილი მივიღეთ ივანიშვილისგან?! ივანიშვილის გზავნილი არის ასეთი, რომ მას საზოგადოებისთვის შესათავაზებელი არაფერი აღარა აქვს, არანაირი პოზიტივი არა აქვს, არაფერი გასაკეთებელი არა აქვს. ის საზოგადოებას ეუბნება, რომ მე მაქვს ძალა და ამ ძალით მინდა, რომ შევინარჩუნო ხელისუფლება. ამის გარდა, მას არაფერი აღარ აქვს, მორჩა. ამ მიმართულებით ვინც კი ჰყავდა მოძალადეები გუნდში, ახლა სწორედ ამ მოძალადეების რიგია.

– მინისტრთა კაბინეტში ბრუნდება ირაკლი ღარიბაშვილიც. ამაზე რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა? თუნდაც იგივე ღარიბაშვილი, რომელიც კლასიკური მოძალადე იყო ბევრი წელი, ის დანიშნა ძალოვნებში და მთავარ მოძალადე გახარიას ჩააბარა მთელი მთავრობა. ეს არის საზოგადოების გამოწვევა და ის ნახავს, ამისთვის რასაც მიიღებს.

– რა პასუხს მიიღებს საზოგადოებისგან?

– ის მიიღებს ძალიან სერიოზულ პასუხს. ქართველი საზოგადოება მას ამ გამოწვევას არ აპატიებს.

– პატონო სერგო, აქცია განახლდა პარლამენტის წინ, რამდენად ელოდებით, რომ სერიოზული საპროტესტო ტალღა აგორდება და გამწვავდება ვითარება?

– 20 სექტემბერს იქნება საკმაოდ გრანდიოზული საპროტესტო აქცია.

– 20 სექტემბერს აანონსებთ დიდ აქციას, მაგრამ ეს იქნება ერთჯერადი ხასიათის თუ გაგრძელდება პერმანენტულად?

– ამასთან დაკავშირებით ორგანიზატორები მსჯელობენ, მიიღებენ გადაწყვეტილებას და შეატყობინებენ საზოგადოებას, თუ როგორი იქნება ეს აქცია.

– მიიღებს ხელისუფლება მწვავე პასუხს ამ ყველაფრის გამო?

– ხელისუფლება მთელი დარჩენილი ერთი წლის განმავლობაში მიიღებს მწვავე პასუხს. ამ ხელისუფლებას ჩვეულებრივი, ნორმალური, მეტნაკლებად ნორმალური ცხოვრება აღარ ექნება.

– რისი თქმა გსურთ, რომ 2020 წლამდე იქნება სულ აქციები და დაძაბული ფონი?

– 2020 წლამდე იქნება ასე. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას ქართველი საზოგადოების არ ესმის, მას შესათავაზებელი არაფერი არა აქვს, გარდა იმისა, რომ მოძალადე ძალოვნები დაგვასვას თავზე.

მინდა გითხრათ ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილის სისტემის გარკვეულ მდგრადობას განაპირობებდა ისიც, რომ მას შეეძლო ესა თუ ის მინისტრი, რომელიც არაპოპულარული ხდებოდა, შეეცვალა და დღეს მან ეს ვერ გააკეთა. თუ მას სურს, რომ საზოგადოება დააჯეროს, ეს არის მისი ძლიერება, პირიქით, ეს არის მისი სისუსტე, რადგან მან ვერ შეცვალა გახარია.

– რატომ ვერ შეცვალა?

– იმიტომ, რომ გახარია არის მისი დანაშაულის თანამონაწილე. 20 ივნისს ტყვიების სროლა დაკავშირებულია ასევე ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებასთან. გახარია მისი დანაშაულის თანამონაწილეა და თანამონაწილეებს ასე მარტივად ვერ იშორებენ.

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილმა გამოგვიცხადა ომი და ეს ომი ღირსეულად უნდა მოვიგოთ“

ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობით ივანიშვილმა ალასანიაც გამოიწვია?!

იავო ნაცვლიშვილი

გამართლდა მედიის კიდევ ერთი ინფორმაცია და პრემიერმინისტრობის კანდიდატად გიორგი გახარია დაასახელეს, მინისტრი, რომლის დროსაც ამ ხელისუფლების პირობებში მოხდა ძალის გამოყენება ყველაზე დიდი მასშტაბით და რომელსაც გავრილოვის ღამე უწოდეს. სწორედ გახარიას მინისტრობის დროს დაარბიეს აქცია, გამოიყენეს არაპროპორციული ძალა, შედეგად არაერთი ადამიანი დაშავდა, ზოგიერთმა კი თვალიც დაკარგა რეზინის ტყვიის გამიზნულად თვალში სროლის შედეგად.

საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილმა ფსონი მაინც გიორგი გახარიაზე დადო. თავდაცვის მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გახდება, შს მინისტრად ვახტანგ გომელაურია წარდგენილი, ხოლო სუს-ის უფროსად – ლევან იზორია, რომელიც ასევე უხელმძღვანელებს უსაფრთხოების საბჭოსაც.

გამოიწვია თუ არა ივანიშვილმა საზოგადოება და არის თუ არა ძალადობრივი ხელისუფლების ფორმირების დემონსტრირება? ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრად დანიშნით კი ხომ არ ხდება ირაკლი ალასანიას გამოწვევაც და ნიშნავს თუ არა ეს დეკლარირებულად ევროატლანტიკური გზიდან გადახვევას? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი და ირაკლი ალასანიას ყოფილი თანაგუნდელი **ნინო გოგუაძე** საუბრობს.

– საუბარი ღარიბაშვილის თემით დავიწყოთ. შეაფასეთ თავდაცვის მინისტრად მისი გადაყვანა. გამიჩნდა შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიაც გამოიწვია იმის გამო, რა დაპირისპირებაც ჰქონდათ ალასანია-ღარიბაშვილს, რამაც ხელისუფლებიდან თქვენი გუნდის წასვლა გამოიწვია. ხომ არ მოვიდა დრო, ალასანია დაბრუნდეს პოლიტიკაში?

– მე არ ვფიქრობ, რომ ივანიშვილმა ამით ირაკლი ალასანია გამოიწვია. ივანიშვილმა თავისი ამ პოლიტიკით მთელი ქართველი საზოგადოება გამოიწვია. მან გამოიწვია თავისუფლებისმოყვარე და ღირსების მქონე საზოგადოება. მან აბსოლუტურად ყველაფერი გააკეთა, რომ ამ ქვეყნის საზოგადოებაში არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გაემწვავებინა და ამ ქვეყანას ის მიაქანებს დაპირისპირების მორევისკენ. პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიციისა და საზოგადოების ვალია, რომ ეს ქვეყანა სახელმწიფო დაპირისპირებაში არ ჩავიროთ, როგორმე მშვიდობიანად გავიდეთ ფონს და ეს ხელისუფლება არჩევნების გზით გავისტუმროთ.

– ანუ გგონიათ, რომ ალასანიას მიმართ გამოწვევა არ ყოფილა?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ. საქმე აქ გაცილებით რთულად არის. ღარიბაშვილს შს მინისტრობა უნდოდა ბიძინა ივანიშვილს, მისთვის შსს გაცილებით მნიშვნელოვანია, ისევე, როგორც სუსი და პროკურატურა, რომლებიც თავისი საკუთრება ჰგონია. თავდაცვის სამინისტროს ასეთი მნიშვნელობის უწყებად არ აღიქვამს, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავდაცვის სამინისტრო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უწყებაა ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე.

– ამიტომ ვსვამ ამ კითხვას. მაშინ დაპირისპირება მოჰყვა ალასანიას გადაწყვეტილებას ფრანგული თავდაცვის სისტემების ყიდვასთან დაკავშირებით. მაშინ გაჩნდა მოსაზრება, რომ ხელისუფლება რუსულ გზას დაადგა. ამ კონტექსტში რას ნიშნავს ღარიბაშვილის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად?

– მაშინაც ვთქვით ჩვენ, რომ სახელმწიფომ გადაუხვია ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზას. დიახ, ღარიბაშვილი დასავლეთისთვის სრულიად მიუღებელი ადამიანია, ის აბსოლუტურად შეუფასებელია ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის. მე მგონი, ივანიშვილი რასაც აქამდე ფარულად და ფლიდურად აკეთებდა, ახლა უკვე აღარც მალავს, რომ მას არ აინტერესებს პროდასავლური მიმართულება, მისთვის მთავარი ხელისუფლების შენარჩუნებაა და ამ გზაზე დაშორდება დასავლეთს და დაუახლოვდება რუსეთს ზუსტად ისე, როგორც მისი ძალაუფლების შენარჩუნებას სჭირდება.

ასე რომ, ღარიბაშვილის დანიშვნა მას უფრო უნდოდა შს მინისტრად, თუმცა, არა მგონია, რომ ვინმემ განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწია. უბრალოდ, ვითომ ვიღაცამ გაუწია წინააღმდეგობა – ვიცით ჩვენ, რომ გახარიასა და კალაძეს არ უნდოდათ შს მინისტრად ღარიბაშვილი და ამიტომ დანიშნა თავდაცვის მინისტრად. თუმცა, ყველამ კარგად ვიცით, რომ ივანიშვილის ხელისუფლებაში ფორმალურ თანამდებობებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

ღარიბაშვილის დანიშვნა თავდაცვის მინისტრად ნიშნავს, რომ კიდევ უფრო ვშორდებით ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ევროპის სტანდარტებსა და ნატოს. ეს არის ერთმნიშვნელოვანი. ღარიბაშვილი მიუღებელი პარტნიორი იყო დასავლეთისთვის მაშინაც, როცა ის პრემიერად დანიშნა და მით უმეტეს ახლა ის მიუღებელია ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეებისათვის.

რაც შეეხება ალასანიას, კი, მაშინ პრემიერი ღარიბაშვილი იყო, მაგრამ, ისიც ხომ ვიცით, რომ პრემიერი ღარიბაშვილი თვითონ არ იღებდა გადაწყვეტილებებს, ის იყო ივანიშვილის სურვილების გამტარი და შემსრულებელი. დიახ, ე.წ. კაბელების საქმე მათ შორის იყო იმისთვის, რომ ალასანიას წინააღმდეგ პოლიტიკური შეტევა განხორციელებულიყო. ეს დაიწყო მაშინ, როდესაც ალასანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ასეთ მნიშვნელოვან პროექტს აწერდა ხელს საფრანგეთში, ეს ყველაფერი გაკეთდა ღარიბაშვილის ხელით, ესეც ძალიან კარგად ვიცით და გვახსოვს.

ალასანია, რა თქმა უნდა, ძალიან აკლია ქართულ პოლიტიკას და, რასაკვირველია, მისი დაბრუნება მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუმცა ეს არის მისი პირადი გადაწყვეტილება. იცით, რომ მან აიღო პაუზა, მაგრამ ვიცი, რომ ის აუცილებლად დაბრუნდება, მაგრამ, როცა ჩათვლის ამას საჭიროდ, მაშინ. მას ამის სურვილი ჯერ ნამდვილად არ გამოუთქვამს, სამწუხაროდ.

ღარიბაშვილი და გომელაური ივანიშვილის უერთგულესი კადრებია. 2012 წელს, იცით, რომ ბიძინა ივანიშვილთან ვმუშაობდი და ვიცი ამ ადამიანების ერთგულებისა და მორჩილების ხარისხი ბიძინა ივანიშვილის მიმართ, სწორედ ასეთ მორჩილ ადამიანებს, ორი სიტყვაც რომ არ სჭირდებათ, ნიშნავს ყველა ძალოვან სამინისტროში, რადგან იგი სწორედ ძალოვანი სტრუქტურებით აპირებს ხელისუფლების შენარჩუნებას და ისედაც მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურებით მართავდა ამ ქვეყანას.

– გახარიას პრემიერად შერჩევა არის თუ არა გამოწვევა საზოგადოებისთვის 20-21 ივნისის შემდეგ და იმის დემონსტრირება, რომ ძალადობრივი გზით მიდის ხელისუფლება?

– რა თქმა უნდა. ეს, იცით, როგორი გამოწვევაა? 20-21 ივნისის მოვლენების შემდეგ თქვენთან ინტერვიუშიც მაქვს გაკეთებული შეფასება, რომ განსაკუთრებული და დაუფარავი ცინიზმითა და აგდებით მოქმედებს ბიძინა ივანიშვილი საზოგადოების მიმართ. დიახ, მისი ეს გადაწყვეტილება ომის გამოცხადებაა საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც უნდა თავისუფლება და დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება.

ივანიშვილმა გახარია არ დანიშნა წელიწად-ნახევრის წინ და ნიშნავს ახლა. წელიწადნახევრის წინ გახარიას ჰქონდა ინდივიდუალური კაპიტალი და რეპუტაცია. ის ნამდვილად გამოირჩეოდა „ქართული ოცნების“ სხვა წევრებისგან, თუნდაც ინტელექტის რაღაცა სხვა ხარისხით, მაგრამ მაშინ ბიძინა ივანიშვილმა არ დანიშნა პრემიერ-მინისტრად.

– რატომ?

– იმიტომ, რომ შეეშინდა, ის არ გამხდარიყო მართლაც დამოუკიდებელი ფიგურა. ივანიშვილის გუნდში არ არსებობს ძლიერი პოლიტიკური ფიგურები და სწორედ ახლა დანიშნა.

– დავაზუსტოთ, ანუ მას გააკეთებინა ივანიშვილმა ის, რაც 20-21 ივნისის ღამეს მოხდა და შემდეგ რეპუტაციაშელახული გახარია დანიშნა?

– აბსოლუტურად. რეპუტაციაშელახული, საზოგადოების მხრიდან ნდობადაკარგული და საზოგადოების სამიზნედ ამოღებული გახარია დანიშნა პრემიერ-მინისტრად, გახარია, რომელსაც არანაირი პერსპექტივა არ აქვს დამოუკიდებელ ფიგურად ჩამოყალიბების თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ ის საზოგადოებისთვის გამოწვევაა, ასევე არის ბიძინა ივანიშვილის მეხამრიდი, რადგან უკმაყოფილება და სიძულვილი წავა გახარიასკენ და ეს ბიძინა ივანიშვილისთვის ფარი იქნება.

ასე რომ, თუ შეიძლება, რაციონალური ახსნა მოიძებნოს მისი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის, სამი ახსნა აქვს. ერთი არის ის, რომ გახარია არავითარი პოლიტიკური ფიგურა არ არის, მას აქვს შელახული რეპუტაცია და შეუძლებელია, მისგან რამე ნორმალური გამოვიდეს, ანუ იქნება ისეთი პრემიერი, როგორიც, მაგალითად, ბახტაძე იყო, არანაირი პირადი გავლენები.

მეორე – ეს არის საზოგადოების გამოწვევა და მინიშნება იმაზე, რომ დიახ, ხელისუფლების შესანარჩუნებლად მე ყველაფერზე წავალ და ყველა იმ მეთოდს გამოვიყენებ, რომლებსაც წინა ხელისუფლება იყენებდა, მათ შორის წავა რეპრესიების, ტელევიზიების დახურვის გზით და ა.შ. საზოგადოების დათრგუნვის თვალსაზრისით წავა.

მესამეა მეხამრიდი – ზიზღსა და სიძულვილს თავისკენ მიმართავს გახარია და ამით რაღაცნაირად დაიფარავს ბიძინა ივანიშვილს. ასე რომ, დიახ, ამ ნიშნით შეარჩია გახარია პრემიერად და არა იმისათვის, რომ გახარიამ რამე პოზიტიური შეიძლება შეძლოს.

ძალიან სამწუხაროა ყველაფერი ის, რაც ჩვენს სახელმწიფოში ხდება და ვითარდება. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ სახელმწიფოში, სადაც ვითომ გვაქვს სახელმწიფო და მთავრობა და ვითომ ვირჩევთ პრემიერს... სინამდვილეში, ყველამ ვიცით, რომ ის პრემიერი რეალურად პრემიერი კი არ არის, არამედ ბიძინა ივანიშვილის უსიტყვო გამტარებელი და გამხმოვანებელი. ვითომ გვყავს პარლამენტი და უმრავლესობა... მოკლედ, ამ ვითომ ვითომში, მათ თამაშსა ჭუჭყში ერთადერთი რეალური მაკო გომურის, გიორგი სულაშვილის ამოთხრილი თვალია. უამრავ ადამიანს შეერყა ჯანმრთელობა. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის ვერსიის გასამყარებლად, რომ თითქოს აქ სახელმწიფო გადატრიალება ხდებოდა, დღეს ციხეში სხედან წინასწარ დაგეგმილი ამბოხის მუხლით. ეს მაშინ, როდესაც ეს ადამიანები ერთმანეთსაც კი არ იცნობენ. სინამდვილეში ესენი არიან, უბრალოდ, ადამიანები, რომლებსაც გაჭირვებაში მთავრობა რეალურად არ ეხმარება. აი, ამ რეალობაში ვცხოვრობთ ჩვენ.

დიახ, ბიძინა ივანიშვილმა გამოიწვია საზოგადოება, გამოიწვია პოლიტიკური ოპოზიცია, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა გვეყოს მოთმინება, მათ შორის პასუხისმგებლობა იმისა, რომ ეს სახელმწიფო არ გადავჩეხოთ დაპირისპირების მორევში.

– იმას გულისხმობთ, რომ რევოლუციური სცენარი არ განვითარდეს?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“ რეალობას მოსწყდა“

„გახარიას წინააღმდეგ გამომსვლელი რომ ყოფილიყო საზოგადოება, მისი შს მინისტრობის დროს გამოვიდოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს მთავრობაში დატრიალებულ მორიგ კარუსელზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძეს.

ვახტანგ ძაბირაძე:

– გადაწყვეტილება გიორგი გახარიას პრემიერად წარდგენის თაობაზე მოულოდნელი არ ყოფილა. 20 ივნისამდე ამაზე და მტკიცე ხელის საჭიროებაზე ბევრს საუბრობდნენ.

– საზოგადოებაში პროტესტს 20-21 ივნისის მოვლენებში გახარიას როლი იწვევს.

– ამ მოვლენების გამო „ქართულმა ოცნებამ“ გახარიას პრემიერად წარდგენა გადაავადა. საზოგადოების რეაქცია ამაზე განსხვავებულია. საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეა, ამას გააპროტესტებს. ეს თემა კარგი საშუალებაა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ქულების დასაწერად. „ქართული ოცნების“ მომხრეები ამას მიესალმებიან. საზოგადოების ნეიტრალურ ნაწილში, არა მგონია, ამ კუთხით ძვრები მოხდეს. ეს სეგმენტი არც „ოცნების“ მოწინააღმდეგეებს მიემხრობა და არც მომხრეებს. როგორც ვატყობ, პოლიტიკოსები უშვებენ იმავე შეცდომებს, რომლებიც უხვად ჰქონდათ ნაციონალური მოძრაობის დროს.

– რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია?

– მისთვის დამახასიათებელია რეალობისაგან მოწყვეტა და სასურველის სინამდვილედ გასაღება. პარტიების მოქმედებები ხშირად დაშორებულია საზოგადოების განწყობებს. არადა, პოლიტიკოსები საზოგადოებას წინ უნდა მიუძღოდნენ. მათ უნდა შეეძლოთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. სამწუხაროდ, ეს არ შეინიშნება. ამის შემყურე „ქართული ოცნება“ პირდაპირ თუ ირიბად ყველას აფრთხილებს. „ოცნება“ მიგვანიშნებს, რომ ოპოზიციის მხრიდან ძალადობას არ დაუშვებს.

– „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრები იმასაც ამბობენ, რომ 20-21 ივნისის ღამეს შს მინისტრმა გახარიამ ოპოზიციის რევოლუცია აღკვეთა.

– ამაში ახალი არაფერია. „ქართული ოცნება“ იმეორებს იმ ნაბიჯებს, რომლებსაც დგამდნენ გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი. სამწუხაროა, რომ ამ ხელისუფლების შანსი, ყოფილიყო განსხვავებული და არ დაეშვა წარსულის შეცდომები, ნულის ტოლია.

– „ოცნების“ ლიდერები ამბობენ, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა – განვითარებასაც და სიცრუის პროპაგანდასაც. ეს როგორ აღიქვით? მმართველი პარტიის პიარი გაძლიერდება?

– პიარი აუცილებლად იქნება, მაგრამ პიარი ყოველთვის არ მუშაობს. პიარი ეფექტურია მაშინ, როცა საზოგადოებას რაღაც დოზით ხელისუფლების სჯერა და მას გარკვეულწილად ენდობა. თუ ხელისუფლებას ხალხის ნდობა არა აქვს, არც პიარი შველის და არც რკინის ხელი.

– ოპოზიციისგან რას მოელით? დიდი ალბათობით, საარჩევნო ბლოკები აიკრძალება. გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნების წინ დაიქსაქსება თუ ერთიანი სიით მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში?

– ოპოზიციას, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბლოკების გარეშეც შეუძლია არჩევნებში ერთად მონაწილეობა. აქაც უგუნურად იქცევა ოპოზიცია. რაც უფრო ნაკლებად იყვირებს საარჩევნო ბლოკებზე და სხვა ასეთ საკითხებზე, მით უკეთესი იქნება მისთვის. ოპოზიცია არასწორია მოქმედებებშიც და განცხადებებშიც. კარგად მესმის, რომ საარჩევნო გარემო გასაუმჯობესებელია. პრობლემებია პარტიების დაფინანსებაში, საარჩევნო კომისიებსა და თავისუფალ მედიაში. პრობლემები არის, მაგრამ, როცა ოპოზიცია გამუდმებით ხმაურობს ბლოკებზე, რომლების გაუქმებაც გადაწყვეტილია ან მსგავს სხვა საკითხებზე და ივიწყებს მთავარს, ეს შეცდომაა. საზოგადოებას ექმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიცია სუსტია და არჩევნების მომგები არ არის. იმის მაგივრად, რომ ხალხი დაარწმუნონ თავიანთ სიძლიერეში, ოპოზიციონერები პირიქით იქცევიან. მმართველი პარტია ამით სარგებლობს.

– რამდენიმე საპროტესტო აქცია დაანონსებულია. გახარიას გაპრემიერების შემდეგ პროტესტის აზვირთება არ არის მოსალოდნელი?

– პროტესტის აზვირთება მოსალოდნელი არ არის. არა მგონია, ამის გამო დიდი გამოსვლები დაიწყოს. შესაბამის განწყობას საზოგადოებაში ვერ ვხედავ. გახარიას წინააღმდეგ გამომსვლელი რომ ყოფილიყო საზოგადოება, მისი შს მინისტრობის დროს გამოვიდოდა.

– ფართო საზოგადოებას გულისხმობთ? საზოგადოების ნაწილი ამას აკეთებდა.

– რასაკვირველია, ფართო საზოგადოებას ვგულისხმობ. ქუჩაში იდგა ზედა ფენა (არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები). სამწუხაროდ, მას ხალხი გვერდით არ დაუდგა. ეს ყველაფერი გასაანალიზებელია. ხალხის მოზიდვას ნაცმოძრაობის გამო ვერც ოპოზიცია ახერხებს.

– „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა მთავარ მოთამაშეებად რჩებიან?

– საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ეს დაადასტურა. პოლიტიკაში ძირითადი ეს ორი ჯგუფია და იმის მეშინია, ისინი ერთმანეთს არ შეასკდნენ და სამოქალაქო დაპირისპირება არ დაიწყოს. ივანიშვილი ხედავს, რომ პოლიტიკურ ველზე არავინ ჩანს, ვინც ოპოზიციის გაერთიანებას შეძლებდა ისევე, როგორც ეს მან გააკეთა 2011 წელს. ამას ემატება პოლიტიკოსების შეცდომები. ყველა მოქმედება გააზრებული უნდა იყოს. ჩვენ გვჩვევია, რომ ჯერ გადავხტებით და მერე ვიწყებთ ფიქრს. საუბედუროდ, ასეა 30 წლის განმავლობაში. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილმა გახარია გაწირა“

ამ ქვეყანაში ყველაფრის მინისტრი ერთი კაცია

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, დაპირებული ცვლილებები სახეზეა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გიორგი გახარია წარადგინა. ამ გადაწყვეტილებას დიდი პროტესტი მოყვა საზოგადოებაში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუნდშიც ბევრი ეწინააღმდეგებოდა გახარიას გაპრემიერებას. რას იტყვით თქვენ?

– გუნდის წევრებს კი არა, მე მგონი, თვითონაც არ უნდოდა გახარიას ეს თანამდებობა, ისეთი სახით იდგა წარდგენისას. ნამდვილად არ უნდოდა და ეს ძალიან კარგად გამოიკვეთა.

– რატომ არ უნდოდა?

– დღეს საქართველოში შინაგან საქმეთა მინისტრობა გაცილებით უფრო ძლიერი თანამდებობაა, ვიდრე პრემიერმინისტრობა.

– დაახლოებით ერთი წლის ვადით ინიშნებიან პრემიერ-მინისტრები.

– კი, ნამდვილად ასეა. თუმცა გომელაური რამდენად ძლიერი შინაგან საქმეთა მინისტრი იქნება, ეს სხვა საქმეა, იმიტომ, რომ არ ჩანდა მაინცდამაინც ძლიერი ფიგურა სუს-ის უფროსობის დროს.

– ანუ ჯობდა, გახარია შს მინისტრის პოსტზე დაეტოვებინათ?

– პირველ რიგში, გახარიასთვის ჯობდა ნამდვილად.

– ამ თანამდებობით გახარია საბოლოოდ წავა პოლიტიკიდანო. ასე იქნება?

– ნამდვილად ასეთი პირი უჩანს. ასეთ სიტუაციაში მისი პრემიერად დანიშვნა, რეალურად ნიშნავს მის გაწირვას საბოლოო ჯამში. რა თამაში წამოიწყო ივანიშვილმა, ვერ გეტყვით, არჩევნებზე გახარიათი აპირებს თუ არა ივანიშვილი ფონს, არ ვიცი.

– ექსპერტთა ნაწილი აცხადებს, რომ ეს არის წინასაარჩევნო მთავრობა. ასეა?

– არჩევნების წინ, როგორც წესი, გაცილებით დიდ როლს თამაშობს ძალოვანი უწყებები, ვიდრე პრემიერ-მინისტრი. არჩევნები როგორ ტარდება ჩვენს ქვეყანაში, ყველამ კარგად ვიცით.



წესით, თუ არჩევნებისთვის დაიწყეს სამზადისი, ივანიშვილს გახარია შს მინისტრის პოსტზე უფრო სჭირდებოდა. რისი იმედი აქვს ივანიშვილს, რომ გახარია ქვეყნის ეკონომიკას გამოასწორებს?!

– რამდენად მოიმატებს რუსული ნარატივი ქვეყანაში?

– რუსული ნარატივი რა შუაშია, მე მაინც ვერ გავიგე.

– ოპოზიცია სწორედ ამას უკიჟინებს...

– როგორც გრიგოლ ვაშაძეზე ამბობენ, რუსეთის აგენტიაო, ეს დაახლოებით იგივე ოპერა, რომ გახარია რუსეთის აგენტია.

– გავრილოვი გამოეხმაურა გახარიას გაპრემიერებას. ვფიქრობთ, რომ გახარია რუსეთთან დიალოგს დაიწყებს და უფრო თამამ ნაბიჯებს გადადგამსო. როგორ ახსნით მის ასეთ კომენტარს?

– გავრილოვს სერიოზულად რატომ უყურებენ?! რუსეთშიც არ იცოდა მისი არსებობის შესახებ არავინ, სანამ ეს სკანდალი არ მოხდა.

– ჩვენ ვაქციეთ პოპულარულ ფიგურად?

– გეფიცებით, მართლა არავინ იცოდა რუსეთში მისი არსებობა.

– ბატონო თორნიკე, თქვენ საუბრისას აღნიშნეთ, რომ გომელაური სუსტი შს მინისტრი იქნებაო. რას იტყვით ღარიბაშვილზე, რომელიც თავდაცვის მინისტრის პოსტზეა წარდგენილი?

– როგორც მე ვიცი, იზორიას მოშორება საკმაოდ დიდი ხანია უნდოდათ და ახლა ის საპატიო თანამდებობაზე გადაიყვანეს – უშიშროების საბჭო. ვნახოთ, უშიშროების საბჭო რეალურად ვის დარჩება, პრემიერს თუ უშიშროების საბჭოს მდივანს, ესაა საინტერესო. იზორიას თუ გახარიას? არაა გამორიცხული, რომ უშიშროების საბჭო შეეწიროს პოლიტიკურ ბრძოლას და მისი ფუნქცია ისევე ისე განულდეს, როგორც აქამდე იყო განულებული.

– კიდევ თუ ელოდებით რომელიმე მინისტრის შეცვლას?

– რა მნიშვნელობა აქვს, საერთოდ ვინ წავა და ვინ მოვა? ყველაფრის მინისტრი ხომ ერთი კაცია ამ ქვეყანაში. ეს გადაწყვეტილებებიც თავად ივანიშვილმა მიიღო, ეჭვი მაქვს, გარკვეული წინააღმდეგობებიც შეხვდა, მაგრამ მან ადრეც თქვა, მე რომ გამომაქვს სამსჯავროზე რაიმე იდეა, ვარწმუნებ ყველას, რომ მე ვარ მართალიო. როგორც ჩანს, ახლაც ასე დაარწმუნა ივანიშვილმა ყველა, რომ ასე ჯობდა და რომ ის იყო მართალი.

– რატომ ეწინააღმდეგებოდნენ გუნდში გახარიას გაპრემიერებას?

– 20 ივნისის შემდეგ გახარიას რეპუტაცია შეილახა. მას მძიმე ტვირთად მოყვება ეს ყველაფერი და გუნდმა პოლიტიკურად დამაზიანებლად ჩათვალა ეს ყველაფერი. გახარიას ბრალდება ყველაფერი, თუმცა რამდენად არის ეს სიმართლე და რამდენად არის მართლაც მისი ბრალი, ეს სხვა ამბავია, მაგრამ პოლიტიკაში უფრო მნიშვნელოვანი ხომ ის არის, რაც ჩანს და არა ის, რაც რეალურად არის.

– აქციები განახლდა პარლამენტის წინ, რამდენად ელოდებით სიტუაციის გამწვავებას?

– გამწვავება თუ უნდოდათ, ამის შანსი იყო ივნისში. მწვავეც იყო და აგორებულიც იყო სერიოზული აქცია, მაგრამ ჩაიარა ამ ყველაფერმა. არ მგონია, რაიმე სასწაული მოხდეს ახლა. სტუდენტობა ბრუნდება დაახლოებით ორ კვირაში, იწყება სწავლა და მანამდე არ მგონია ეს მუხტი შეინარჩუნონ. თუ რაღაც სისულელე არ დაახეთქეს „ოცნებაში“. მაგათგან გამორიცხული არაფერია.

– შეძლებს გახარია, 2020 წლამდე სტაბილურად მიიყვანოს ქვეყანა?

– რეალურად მას რა ძალაუფლება ექნება, ეს ჩვენ არ ვიცით. არაფორმალურად თუ დაუტოვეს მას გავლენა ძალოვან უწყებებსა და უშიშროების აპარატზე, მაშინ, კი ბატონო, გასაგებია. ხოლო თუ მარტო ეკონომიკა ჩააბარეს, გამოდის, რომ ის კი არ დააწინაურეს, არამედ ჩამოაქვეითეს.

– არ ენდობა გახარიას და მოაშორა შს სამინისტროს. ასეა?

– არ ვიცით, ჯერ რამდენად მოაშორა, ეს გამოჩნდება მალე. მე არ მგონია, ივანიშვილი ენდობოდეს გომელაურს, კი, ბიძინასს ერთგულია, მაგრამ ის არ არის ეფექტური მენეჯერი. ამიტომ შესაძლოა, კვლავ გახარიას დაუტოვონ კონტროლის მექანიზმი არაფორმალური გზებით.

– ბახტაძე იყო ყველაზე სუსტი პრემიერი „ოცნების“ პრემიერებიდან?

– თავის დროზე ბახტაძის დანიშვნამ, კიდევ ერთხელ გამოაჩინა რამდენად მახინჯი და მანკიერი სისტემაა საქართველოში. მეც კი ზუსტად ვიცოდი, რომ ბახტაძე იყო ძალიან სუსტი მენეჯერი. რკინიგზაშიც კარგად გამოჩნდა, თუ როგორი მენეჯერი იყო. ხოლო ასეთი კაცის პრემიერად დანიშვნა, კიდევ ერთი გამოვლინება იყო სისტემის მანკიერების, რომ ოღონდაც იყოს ერთგული, არავითარი პოლიტიკური ამბიციები არ ჰქონდეს და, კი ბატონო, დავსვათ პრემიერ-მინისტრად.

– გახარია უფრო ამბიციური ფიგურაა და ივანიშვილსაც ნაკლებად ემორჩილებაო. პრობლემებს ხომ არ შეუქმნის ივანიშვილს?

– არ მგონია, რთულად ემორჩილებოდეს ივანიშვილს. მოდი, ასე ვთქვათ, გახარია უფრო მეტად შემდგარი ფიგურა იყო, როცა მთავრობაში მივიდა, ჰქონდა თავისი წონა, თავისი ფინანსური კაპიტალიც ჰქონდა. უბრალოდ, არ ეშინია ივანიშვილის ისე, როგორც ეშინია ბევრ სხვას „ოცნებაში“.

– ეს არის „ოცნების“ ბოლო გაფართხალება, ყველანაირი რესურსი ამოწურეს, არანაირი კადრი აღარ შემორჩათ და ახლა გახარიათი ცდილობს ფონს გავიდესო.

– ეს გამოჩნდება. თუ გახარია გააკონტროლებს ძალოვნებს, მაშინ გასაგებია, რომ მართლაც გახარიათი ცდილობენ ფონს გასვლას და სიტუაციის გათრევას. ცდილობენ მესამე ვადით დარჩენას და თავისებურად ემზადებიან ამისთვის. საქართველოში ხომ ყველა მთავრობას უნდა მესამე და მეოთხე ვადითაც დარჩენა.

– რამდენად შეძლებენ ამას? ან დასავლეთი რამდენად მისცემს ივანიშვილს ამის უფლებას?

– დღეს დასავლეთს ჩვენთვის ნაკლებად სცხელა, ვიდრე სცხელოდა 2012 წელს, ან 2003 წელს. ეს „ოცნებამაც“ კარგად იცის და, როგორც ჩანს, სწორედ ამის იმედი აქვს. ტრამპი გადართულია ჩინეთთან სავაჭრო ომზე, რუსეთთან დაპირისპირებაა, ირანთან დაპირისპირებაა და საქართველო დღეს ნაკლებად ახსოვთ. ხომ ხედავთ, ელჩიც კი არა ჰყავთ. ევროპას რაც შეეხება, ის ყოველთვის მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა საქართველოში.

– საუბარია იმაზეც, რომ ოპოზიციას ძალიან აფრთხობს, აშინებს გახარიას ფიგურა. რატომ ეშინია ოპოზიციას გახარიასი?

– ოპოზიციას თუ რამის შნო აქვს, წესით, უნდა აწყობდეს ტიპი, რომელსაც 20 ივნისის მერე რეპუტაცია დაზიანებული აქვს. ამის მიუხედავად თუ მაინც ეშინიათ, მაშინ აღარ ყოფილა მაგათი საშველი.

ნინო გოგუაძე: „ივანიშვილმა გამოგვიცხადა ომი და ეს ომი ღირსეულად უნდა მოვიგოთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– დიახ. ივანიშვილი ყველაფრისთვის მზად არის, ოღონდ კი ხელისუფლება შეინარჩუნოს. ჩვენ კი უნდა გვეყოს მოთმინება და პასუხისმგებლობა, რომ სახელმწიფოში არ მოვაწყოთ ხისტი დაპირისპირება, რადგან სახელმწიფო ამ დაპირისპირებას ვეღარ გაუძლებს.

– ანუ იმაზე საუბრობთ, რომ არჩევნებამდე მივიდეთ მშვიდობიანად და არჩევნებზე მოხდეს ხელისუფლების შეცვლა?

– დიახ. არჩევნებამდე უნდა მივიდეთ. უნდა მოხდეს პროტესტის კონსოლიდაცია, უნდა მივიდეთ კონსტიტუციურად ყველა დასაშვები მეთოდით, ოღონდ, დიახ, ეს ხელისუფლება უნდა შევცვალოთ არჩევნების გზით. სხვა ყველა სცენარი ამ სახელმწიფოს კონსტიტუციური ფარგლებიდან გასვლაა, რაც ასევე ძალიან ცუდია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, რადგან ვიცით, რომ რევოლუციას თავისი ძალიან ბევრი უბედურება ახლავს, თან ეს იქნება ის, რომ ისევ ამ მოჯადოებულ წრეზე ვივლით. ასე რომ, უნდა ვიაროთ ყველანაირი პროტესტით და ყველანაირი გონიერი გათვლით უნდა ვიაროთ. ბიძინა ივანიშვილმა ჩვენ გამოგვიცხადა ომი და ჩვენ ეს ომი ღირსეულად უნდა მოვიგოთ.

დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის მიერ აქტივისტისთვის დარტყმის საქმეს შსს შეისწავლის

„ქართული ოცნების“ დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძის მიერ „სირცხვილიას“ აქტივისტისთვის დარტყმის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეისწავლის. ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

გუშინ, 3 სექტემბერს, ჯაფარიძემ პარლამენტის წინ შეკრებილი აქციის „სირცხვილიას“ მონაწილეებიდან ერთ-ერთს ხელი დაარტყა და საყვირი დაუმტვრია. ამის შესახებ ინფორმაცია აქციის მონაწილეებმა გაავრცელეს. დეპუტატი პარლამენტიდან გამოდიოდა, როდესაც მას სამოქალაქო აქტივისტები სტვენით გაეკიდნენ. ამ დროს ვიქტორ ჯაფარიძემ ერთ-ერთ აქტივისტს, სოლომონ ბაჯელიძეს ხელი დაარტყა. ბაჯელიძე, ასევე, ამბობს რომ დეპუტატმა დედა შეაგინა და დაემუქრა.

პარლამენტის შესასვლელთან აქცია „სირცხვილიას“ მონაწილეები არიან შეკრებილნი. დღის განმავლობაში ისინი პარლამენტის შენობაში შესვლასაც ცდილობდნენ, თუმცა დაცვამ უფლება არ მისცა. მოგვიანებით პარლამენტის შესასვლელთან პოლიციამ კორდონიც გააკეთა.

აქციის მონაწილეები შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, გიორგი გახარიას პრემიერის თანამდებობაზე წარდგენას აპროტესტებენ. სწორედ მისი მინისტრობის დროს, 20 ივნისს ღამეს დაშალეს აქცია ძალის გადამეტებით. აქციის მონაწილეები მინისტრის გადადგომას 76-ე დღეა, ითხოვენ.

მარეგულირებელმა ტვ პირველი 23.513 ლარით დააჯარიმა

საქართველოს კომუნიკაციების კომისიამ ტვ პირველი 23.513 ლარით დააჯარიმა. კომისიის განმარტებით, არხი მხატვრულ ფილმებს რეგულაციების გათვალისწინებით არ უშვებდა.

– 2019 წლის 29 ივნისიდან 2 ივლისის პერიოდში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ტვ პირველის ეთერში ნაჩვენებია ფილმები, რომლის მართლზომიერი ჩვენების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია კომპანიას არ გააჩნია. კომისიის მხრიდან არაერთი მცდელობისა და კომპანიისთვის დამატებითი ვადის მიცემის მიზნით, კომისიის სხდომების გადადების მიუხედავად, ტელეკომპანიამ აღნიშნულ ფილმებზე შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოადგინა, – აღნიშნავს კომისია.

უწყებაში განმარტავენ, რომ ამ მიზეზით არხი ერთხელ უკვე გააფრთხილეს და ერთხელ დააჯარიმეს. პირველი ჯარიმა 3.497 ლარია.

ბათუმში 947 აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს

დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უბნის ინსპექტორებისა და დეტექტივების სამმართველოების თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1978 წელს დაბადებული, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ზ.ი. დააკავეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 684 აბი, ხოლო მისი დროებითი საცხოვრებელი სახლიდან 263 აბი „სუბოქსინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნადირობის სეზონის გახსნიდან დღემდე უკანონო ნადირობის 132 ფაქტი გამოვლინდა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები, ნადირობის სეზონის ფარგლებში, ნადირობის წესების დარღვევის გამოვლენისა და უკანონო ნადირობის აღკვეთის მიზნით, საქართველოს მასშტაბით 24-საათიან გაძლიერებულ კონტროლს ახორციელებენ.

სეზონის გახსნიდან დღემდე, უკანონო ნადირობის ყველაზე მეტი, 96 ფაქტი დაფიქსირდა დასავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა კახეთში უკანონო ნადირობის – 5, ქვემო ქართლში – 1, სამცხე-ჯავახეთში – 15, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 6, აღმოსავლეთის რეგიონული სამმართველოს სამოქმედო ტერიტორიაზე კი 9 ფაქტი გამოავლინეს.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან 30 შემთხვევაში სამართალდამრღვევები გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე დაწესებული მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე ნადირობდნენ, 14 მონადირეს დაურეგისტრირებელი იარაღი აღმოაჩნდა, აკრძალული საშუალებებით 88 სამართალდამრღვევმა ინადირა. ჯამში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის თანამშრომლებმა 85 ხელნაკეთი მოწყობილობა „მანოკი“ ამოიღეს.

სულ 10 დღის განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით, უკანონო ნადირობის 132 ფაქტი გამოვლინდა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი მოქალაქეებს მოუწოდებს, კანონდარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მიმართონ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზს – 153 (ინდექსის გარეშე, ზარი უფასოა, ანონიმურობა დაცულია), რათა დეპარტამენტის შესაბამისმა რეგიონულმა სამმართველომ მყისიერი რეაგირება მოახდინოს.

მდინარე ალაზანში მოზარდი დაიხრჩო

არსებული ინფორმაციით, მოზარდი მდინარეზე ოჯახთან ერთად იმყოფებოდა.

უბედური შემთხვევა გუშინ სოფელ კარდენახის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა.

სუს-ის უფროსად, სავარაუდოდ, გრიგოლ ლილუაშვილი დაინიშნება

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსად ბიძინა ივანიშვილი გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას განიხილავს.

როგორც „2020NEWS“-თვის გახდა ცნობილი, ვახტანგ გომელაურის შს მინისტრად გადანაცვლების შემდეგ სუს-ის ხელმძღვანელის პოსტზე დასანიშნად პარლამენტს გრიგოლ ლილუაშვილის კანდიდატურას წარუდგენენ.

აღსანიშნავია, რომ ლილუაშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში უკვე 2 წელია იმყოფება.

ბოლო საკადრო გადაადგილებების დროს ლილუაშვილი სუს-ის უფროსის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

საპატრულო პოლიციის უფროსი: „პარლამენტის შესასვლელის ბლოკირება არ შეიძლება“

საპატრულო პოლიციის უფროსმა ვაჟა სირაძემ განმარტა, რატომ გამოიყვანეს აქცია „სირცხვილიას“ მონაწილეები პარლამენტის შენობის უკანა შესასვლელის ტერიტორიიდან, სადაც აქცია დილიდან მიმდინარეობს.

როგორც სირაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, აქციის მონაწილეებს უფლება აქვთ, რომ პროტესტი მშვიდად გამოხატონ, თუმცა მათ არ აქვთ უფლება, რომ შენობის ბლოკირება მოახდინონ.

– შესასვლელის ბლოკირება არ შეიძლება. პარლამენტის შესასვლელი ჰქონდათ ბლოკირებული. შესაბამისად, მოვუწოდეთ, რომ გადაწეულიყვნენ და გამოეხატათ პროტესტი მშვიდობიან ფორმატში. გამოხატონ თავიანთი პროტესტი, მაგრამ შესასვლელის ბლოკირება არ შეიძლება. ნუ დაბლოკავენ, – განაცხადა სირაძემ.

საპატრულო პოლიციის უფროსი აქციის მონაწილეებმა პარლამენტის შენობის ეზოში შეძახილით „მონა“ შეაცილეს.

ამ დროისთვის აქციის მონაწილეებმა პარლამენტის უკანა შესასვლელიდან შენობის მარცხენა შესასვლელთან, ჭიჭინაძის ქუჩაზე გადაინაცვლეს.

ღარიბაშვილის ძველი სკანდალი — ჯანელიძის ზარი პარიზში ალასანიასთან და კაბელების საქმე

ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრია და მას ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება ევალება. ღარიბაშვილი და მისი ნათესავები ეჭვმიტანილი იყვნენ საეჭვო გარიგებებში – „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, ადვოკატი ლევან სამუშია ირაკლი ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას „ფეისბუკის“ მეშვეობით ეხმაურება.

– 2014 წელი, იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ალასანია საფრანგეთში ვიზიტის დროს მოლაპარაკებებს მართავს და ხელს აწერს მემორანდუმს საჰაერო თავდაცვითი სისტემების შესყიდვაზე, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ჩვენი საჰაერო თავდაცვითი უსაფრთხოება.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის დავალებით სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, მინდია ჯანელიძე უკავშირდება ირაკლი ალასანიას და გადასცემს ირაკლი ღარიბაშვილის გზავნილს და ითხოვს ირაკლი ალასანიასაგან, რომ მემორანდუმს ხელი არ მოაწეროს. ირაკლი ალასანია მიუხედავად მოთხოვნისა მემორანდუმს ხელს აწერს, რითაც ქვეყანას უჩნდება შესაძლებლობა უზრუნველყოს საჰაერო თავდაცვა.

მემორანდუმზე ხელმოწერისთანავე იწყება პოლიტიკური სისხლის სამართლის საქმე „კაბელების საქმე“.

პრემიერი ღარიბაშვილი ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან ათავისუფლებს.

2019 წელი,

ირაკლი ღარიბაშვილი თავდაცვის მინისტრია და მას ქვეყნის თავდაცვის გაძლიერება ევალება.

ღარიბაშვილი და მისი ნათესავები ეჭვმიტანილები იყვნენ საეჭვო გარიგებებში სანაცვლოდ, კი თავის ეჭვმიტანილ ნათესავებს ღარიბაშვილმა მასთან სახლში მისვლა აუკრძალა („ქართულ ოცნებას“ საკუთარი სამართალი აქვს), – წერს სამუშია.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

უკრაინაში ფართომასშტაბიანი რეფორმები იწყება

საპარლამენტო არჩევნების შედეგად პრეზიდენტ ზელენსკის პარტიას „ხალხის მსახურს“ უმაგალითო მხარდაჭერა ხვდა წილად. უკრაინის დამოუკიდებლობის 28 წლის განმავლობაში პირველად წარმოიქმნა უმრავლესობა, რომელსაც სხვა ძალასთან კოალიციის გარეშე პარლამენტზე აბსოლუტური კონტროლის დამყარება შეუძლია.

მთავრობაც ისე დაკომპლექტდა, როგორც ზელენსკის სურდა. პარლამენტის ხელმძღვანელობა და სახელმწიფოს ფინანსები მთლიანად ზელენსკის კონტროლქვეშ მოექცა.

– ეს საშუალებას აძლევს ზელენსკის, ფართომასშტაბიანი რეფორმები დაიწყოს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

რეფორმა მტკივნეული პროცესია. ის არაპოპულარულ ღონისძიებებსაც მოიცავს. ზელენსკის პირველმა შეხვედრამ მთავრობის წევრებთან ეს დაადასტურა. ჟურნალისტებთან საუბარში ზელენსკიმ თქვა, რომ მინისტრთა კაბინეტის წევრებს მოკლე, კონკრეტული დავალება მიეცა: ფართომასშტაბიანი და სწრაფი რეფორმების დაწყება.

– პირველი შედეგები უკვე მალე უნდა დავინახოთ, – თქვა ზელენსკიმ.

იმ ღონისძიებებს შორის, რაც ზელენსკიმ დააანონსა, გამოირჩევა ქარვის მოპოვების ლეგალიზაცია, სათამაშო ბიზნესის ლეგალიზაცია, მიწის გაყიდვისათვის მომზადება.

საამისოდ სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაა აუცილებელი. უკრაინის ამჟამინდელი კანონმდებლობით მიწის გაყიდვაზე მორატორიუმია დაწესებული. ახლა ის უნდა მოიხსნას.

– მიწის გაყიდვის პერსპექტივა უკრაინაში ფრიად არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს, – იტყობინება 112-ე არხი.

უკრაინელები შიშობენ, რომ ქვეყნის დუხჭირი მდგომარეობა, სახელისუფლებო ორგანოების კორუმპირებულობა და არაქმედებაუნარიანობა უკრაინულ ნაყოფიერ მიწებს ჩალის ფასად ხელში ჩაუგდებს უცხოელებს. უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ უკრაინული მიწები, შესაძლოა, რუსი ოლიგარქების ხელში აღმოჩნდეს.

– ისმის კითხვა: რას ვიცავთ დონბასში? თუ ჩვენი მიწები ისედაც უცხოელთა ხელში აღმოჩნდება, რა აზრი აქვს იარაღით ხელში მათ დაცვას? – აცხადებს უკრაინული პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ოლეგ ტიაგნიბოკი.

მიწის შესაძლო გაყიდვა ბევრს აშფოთებს. იმედი იმისა, რომ პარლამენტში ამის დაბლოკვა მოხერხდება, მცირეა. მომავალი გვიჩვენებს, მოჰყვება თუ არა ამას ქუჩის აქციები და რა დათმობაზე წავა ხელისუფლება.

უკრაინაში რეფორმები იწყება.

მოძრაობა თალიბანმა ქაბულის ტერაქტზე პასუხისმგებლობა აიღო

გრძელდება მოლაპარაკებები აშშ-ის მთავრობასა და მოძრაობა თალიბანის წარმომადგენლებს შორის.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჰალისადმა განაცხადა, რომ თალიბანთან შეთანხმება, ფაქტობრივად, მიღწეულია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის პირი ქაბულში ჩავიდა. მას ავღანეთის პრეზიდენტისათვის სამშვიდობო შეთანხმების ტექსტი უნდა გაეცნო. ამ დროს მოხდა ტერაქტი.

უცნობმა ტერორისტებმა აფეთქება იმ რაიონში განახორციელეს, სადაც უმეტესწილად უცხოელი სპეციალისტები მუშაობენ. ქაბულის ამ უბანს უშიშროების ძალები გაძლიერებულად იცავენ. მიუხედავად ამისა, აფეთქება მაინც მოხდა. დაიღუპა 16 ადამიანი, ბევრი დაშავდა. აფეთქების ტალღამ რამდენიმე სახლიც დაანგრია.

მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო. სოციალური ქსელებით გავრცელდა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ თალიბანი მომხდარზე სრულ პასუხისმგებლობას იღებს.

ქაბულის ტერაქტი ერთადერთი როდია. თალიბანის ჯარებმა განახორციელეს თავდასხმა ბაგლანის პროვინციის მთავარ ქალაქზე და მისი რამდენიმე უბანი დაიკავეს. ავღანეთის უშიშროების ძალებსა და თალიბანის ბოევიკებს შორის სისხლიანი შეტაკება გაიმართა. შედეგად ბოევიკებმა უკან დაიხიეს და ქალაქი დატოვეს.

ლუბა სობოლი გაათავისუფლეს

31 აგვისტოს რუსულმა ოპოზიციამ დედაქალაქში არასანქცირებული მსვლელობა მოაწყო. მისი ორგანიზატორი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ლუბა სობოლი იყო. ის 1 სექტემბერს დააპატიმრეს, მაგრამ იმავე დღეს გაათავისუფლეს.

მიუხედავად გათავისუფლებისა, სობოლის დევნა გრძელდება. მის ბედს სასამართლო გადაწყვეტს. მას ბრალად ედება არასანქცირებული მიტინგის ორგანიზება.

ტერაქტი კოლუმბიაში

კოლუმბიის ქალაქ სუარესში მოხდა თავდასხმა ამ ქალაქის მერობის კანდიდატ კორინა გარსიაზე. დაჯავშნილ ავტომანქანას, რომლითაც ის გადაადგილდებოდა, უცნობმა პირებმა ნაღმმტყორცნი ესროლეს. გარსიასთან ერთად დაიღუპნენ დედამისი, ქალაქის საბჭოს წევრობის კიდევ ერთი კანდიდატი და მცველები – სულ ექვსი ადამიანი.

ადგილობრივი არჩევნები 17 ოქტომბერს არის დანიშნული. კორინა გარსია სუარესი მერობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ითვლებოდა.

მაიკ პენსი: „რუსეთი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ემზადება“

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა თავის პოლონელ კოლეგა ანჟეი დუდასთან ერთად პრესკონფერენცია გამართა.

პენსმა განაცხადა, რომ რუსეთი აპირებს, აქტიურად ჩაერიოს როგორც აშშ-ის, ასევე ევროპის ქვეყნების არჩევნებში.

– რუსეთი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ემზადება. ასე რომ, აუცილებელია სიფხიზლე, – თქვა პენსმა.

შეკითხვაზე, როგორი იქნება აშშ-უკრაინის მომავალი ურთიერთობები, პენსმა მიუგო, რომ ისინი კიდევ უფრო მჭიდრო და მეგობრული გახდებიან.

– დონბასი და ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია! – თქვა პენსმა.

გვატემალის პრეზიდენტობის კანდიდატი დააპატიმრეს

პოლიციამ გვატემალის ყოფილი პირველი ლედი სანდრა ტორესი დააკავა. მას ბრალად ედება ფინანსური მაქინაციები. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ქალი წინასწარ პატიმრობაში აიყვანეს.

ტორესმა 2019 წლის აგვისტოში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა. პრეზიდენტი კი ალეხანდრო ჯამატეი გახდა. მან პრეზიდენტობაზე კენჭი მეოთხედ იყარა. წინა სამი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. მეოთხეზე ჯამატემ გაიმარჯვა.

ხანძარი კალიფორნიის ნაპირებთან

კალიფორნიის ნაპირებთან სასეირნო გემს ანაზდად ცეცხლი გაუჩნდა. ეს ღამით მოხდა, როცა ყველას ეძინა.

ეკიპაჟის წევრები წყალში გადახტნენ და თავს უშველეს. მგზავრებიდან 5 ადამიანი დაიღუპა, 26-ის ბედი გაურკვეველია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სპორტი

ხვიჩა კვარაცხელია: „რუბინში ლიდერი არ ვარ“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

– ხინკალი... კიდევ?

– ხინკლის გარდა, აჭარული ხაჭაპური ძალიან მომწონს. ყველას გირჩევთ, გასინჯოთ. მეგრელი ვარ და ჩვენი კუთხის ტრადიციული საჭმელი ელარჯია. ძალიან გემრიელია, ვერც კი აღვწერ გემოს, თავად უნდა დააგემოვნოთ.

– მოგვიყევი საქართველოს შესახებ.

– ულამაზესი ადგილია, ჩემთვის ყველაზე კომფორტულიც. საქართველოში გავიზარდე, პატარაობიდანვე ეზოში, ქუჩაში მეგობრებთან ერთად დავრბოდი, მდინარეზე დავდიოდით. კურორტზე წასვლა არც კი მინდოდა, სადაც ვცხოვრობდი, იდეალურად ვისვენებდი.

– შვებულება რომ მოგცეს კლუბმა და გითხრას, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დაისვენო, საქართველოს აირჩევდი?

– ყველა კურორტი კარგია, მაგრამ საქართველო ჩემთვის პირველია. თავისუფალ დროს ყოველთვის სამშობლოში ჩავალ.

– ცდილობთ იპოვოთ საყვარელი საჭმელი ადგილობრივ რესტორნებში?

– მოსკოვში კვერკველიასთან ერთად დავდიოდი ქართულ რესტორანში და თუ ყაზანში თავისუფალი დრო გვაქვს, ჩვენც მივდივართ, თუმცა საქართველოში დამზადებული სულ სხვანაირია.

– ზაფხულის დასაწყისში ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოგიძახეს. როგორი გრძნობა იყო?

– ძალიან მაგარი! კარგად დამხვდნენ და ნაკრების გამოცდილმა წევრებმა არც მაგრძნობინეს, 18 წლის რომ ვიყავი. ვიცი, რომ მაკვირდებოდნენ 15-16 წლიდან.

– რუბინში ქართველებისთვის სპეციალური თარჯიმანიც არის. რაში გეხმარება ეს?

– მისი ჩვენთან ყოფნით ბევრი რამ არ შეცვლილა. ამ ინტერვიუმდე თარჯიმანი არც მჭირდებოდა, რადგან ფეხბურთისთვის საჭირო ფრაზები უკვე ვიცი: ვესალმები პარტნიორებს, შემიძლია ვკითხო, როგორ არიან. გუნდში ურთიერთობა ყველასთან შესანიშნავი მაქვს.

– ტულას არსენალთან მატჩის შემდეგ ზურიკო დავითაშვილი რუს ჟურნალისტებს შეგვპირდა, რომ 1,5 თვეში ინტერვიუს ადგილობრივ ენაზე მოგვცემს. შენ როდის იქნები მზად?

– ვცდილობ მალე, მასწავლებელთან ვემზადებით. რუსულად ძალიან ბევრი რამ მესმის, მაგრამ მწირი ლექსიკის გამო საუბარი მიჭირს.

– რთული ენაა სასწავლად?

– გრამატიკულად კი. საქართველოში ფეხბურთელების უმეტესობამ რუსული ენა იცის. ახალგაზრდებმა ინგლისური უფრო იციან.

– საქართველოში რუსულს ასწავლიან?

– დიახ, კვირაში 2-3-ჯერ სკოლაში რუსული ენის გაკვეთილები არის.

– რუბინს 4 ქართველი ჰყავს. ამით თავს კომფორტულად გრძნობთ?

– რა თქმა უნდა, ეს ოთხივეს გვეხმარება. ერთმანეთში ბევრს ვკომუნიკაციობთ, ამას გარდა, ყველანი შემტევები ვართ და დარბაზში მსგავსი ტიპის ვარჯიშების ჩატარება გვიწევს, რაშიც ერთმანეთს ვეხმარებით. ზურიკო რუბინში ჩემი საუკეთესო მეგობარია, ერთად ძალიან დიდ დროს ვატარებთ.

– 18 წლიდან რუბინის ლიდერი გახდით. არ არის რთული ასეთი დონის შენარჩუნება?

– ვერ ვიტყვი, რომ რუბინის ლიდერი ვარ. 18 წლის ვარ, მაგრამ ამას ყურადღებას საერთოდ არ ვაქცევ. მთავარია, რა ამოცანას მისახავს მწვრთნელი. თუ მენდობა და სათამაშო დროს მაძლევს, ამისთვის ყოველთვის დიდ მადლობას ვუხდი. მძიმე დატვირთვებს ყოველკვირეულად ვეჩვევი. თავიდან გამიჭირდა, რადგან გუნდს მაშინ შევუერთდი, როცა შეკრება დაწყებული იყო, ახლა ყველაფერი რიგზეა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

საქართველოს ნაკრებმა მზადება დაიწყო

საქართველოს ეროვნული ნაკრები თურქეთის ქალაქ სტამბოლში შეიკრიბა და 2 უახლოესი მატჩისთვის ემზადება. ვლადიმირ ვაისის გუნდი თურქეთშივე ჯერ ამხანაგურად სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდს გაეჯიბრება, ხოლო შემდეგ დანიას „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს.

ჯერჯერობით ვაისი და გუნდი არასრული შემადგენლობითაა შეკრებილი. საწვრთნელ პროცესში, რომელიც ათათურქის ოლიმპიურ სტადიონზე წარიმართა, 14 ფეხბურთელი მონაწილეობდა. კიდევ 4-მა ფეხბურთელმა ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშა: გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), თორნიკე ოქრიაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი).

გასულ კვირას, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კორეისა და დანიის ნაკრებებთან დაგეგმილი მატჩებისთვის 27 ფეხბურთელი გამოიძახა. თუმცა, დასახელებულ შემადგენლობას 2 მათგანი ტრავმის გამო გამოაკლდა. უახლოესი შეხვედრებისთვის გუნდს სოლომონ კვერკველია და დავით ხოჭოლავა ვერ დაეხმარებიან. ხოჭოლავა, რომელსაც მხრის ტრავმა აწუხებს, გუნდთან ერთადაა და მსუბუქ ინდივიდუალურ მომზადებას გადის.

ჯერჯერობით, ვაისი ცვლილებებს არ გეგმავს და საქართველოს ნაკრების 25 კაციანი შემადგენლობა კორეის რესპუბლიკისა და დანიის წინააღმდეგ ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მაკარიძე (სეტუბალი, პორტუგალია), ლაზარე კუპატაძე (საბურთალო);

მცველები: ოთარ კაკაბაძე (ლუცერნი, შვეიცარია), გურამ კაშია (სან ხოსე, აშშ), გია გრიგალავა (არსენალი, რუსეთი) ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), ლევან ხარაბაძე (ციურიხი, შვეიცარია), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ჯიმი ტაბიძე (უფა, რუსეთი);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა (ტობოლი, ყაზახეთი), ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), საბა ლობჟანიძე (რანდერსი, დანია), ვახტანგ ჭანტურიშვილი (ზლინი, ჩეხეთი), გიორგი პაპუნაშვილი (სარაგოსა, ესპანეთი), ხვიჩა კვარაცხელია, ზურიკო დავითაშვილი (ორივე რუბინი, რუსეთი), გიორგი აბურჯანია (ტვენტე, ჰოლანდია), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), თორნიკე ოქრიაშვილი, მურთაზ დაუშვილი (ორივე ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონიასპორი, თურქეთი);

თავდამსხმელები: გიორგი ქვილითაია (გენტი, ბელგია), ვაკო ყაზაიშვილი (სან ხოსე, აშშ);

და მაინც, ვაისს უახლოესი ორი მატჩისთვის კიდევ ჰყავს შეგულებული 12 ფეხბურთელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებს. ეროვნული გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში არიან:

ლევან გეგეჭკორი, გიორგი ნავალოვსკი (ორივე დინამო ბთ), ნიკოლოზ მალი (საბურთალო, თბილისი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), ლაშა პარუნაშვილი (ესბიერგი, დანია), ნიკა ნინუა (დინამო თბ), ლუკა ზარანდია (ვარეგემი, ბელგია), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი), გიორგი ხარაიშვილი (გეტებორგი, შვედეთი), ვატო არველაძე (კორონა, პოლონეთი), ბუდუ ზივზივაძე (მეზოკოვეშდი, უნგრეთი), ბექა მიქელთაძე (რუბინი, რუსეთი).

ამასობაში სამხრეთ კორეის ნაკრების პორტუგალიელმა მწვრთნელმა, პაულუ ბენტუმაც დაასახელა შემადგენლობა, რომელიც ჩვენთან სათამაშოდ ემზადება:

მეკარეები: კიმ სუნგ ჯუ (ულსან ჰიუნდაი), ჯო ჰაე-ვუ (დაეგუ), გუ სუნგ იუნი (ჰოკაიდო);

მცველები: კიმ იუნგ გვონი (გამბა ოსაკა), ლი იონგი (იონბუკი), კიმ ჯინ სუ (იონბუკი), სონგ ჩული(სუვონი), კიმ მინ ჯაე (ბეიჯინგ გუაონი), ხვონ იუნგ ვონი (იონბუკი), კიმ ტაე ჰვანი (ულსან ჰიუნდაი), პარკ ჯი სუ (გუანჯოუ);

ნახევარმცველები: სონ ჰიუნ მინი (ტოტენჰემი), ლი ჯაე სუნგი (კილი), იუნგ ვო იუნგი (ალ სადი), კიმ ბო კიუნგი (ულსან ჰიუნდაი), ჰვანგ ჰაე ჩანი (ზალცბურგი), კვონ ჩანგ ჰუნი (ფრაიბურგი), ჰვანგინ ბომი (ვანკუვერი), ნა სანგ ჰო (ტოკიო), პაიკ სუნგ ჰო (დარმშტადტი), ლი კანგ ინი (ვალენსია), ლიდონგ იონგი (ულსან ჰუნდაი);

თავდამსხმელები: კიმ შინ ვუკი (შანხაი შენხუა), ჰვანგ უი ჯო (ბორდო), ლი იონგ ჰეოპი (ბუსანი).

კორეელთა გამოკვეთილი ლიდერი და ვარსკვლავი ტოტენჰემის შემტევი სონ ჰიუნ მინია.

საქართველოსთან მატჩის შემდეგ, კორეის ნაკრები თურქმენეთში ჩავა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მასპინძელთა გუნდს დაუპირისპირდება.

ირანელი ძიუდოისტი სამშობლოდან გაიქცა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დერაციამ ჩაწერა და მისი მიმართვა სოციალური ქსელში გაავრცელა. ირანელი ძიუდოისტი იმ საფრთხეებზე საუბრობს, რაც მას ირანში ელის. გარდა ამისა, მოლაიმ ტოკიოში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე განცდილი მარცხის შესახებაც ილაპარაკა.

საიდ მოლაი:

– შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონი კიდევ ერთხელ გავმხდარიყავი. ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი ამ ტურნირისთვის. მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონსა და ბრინჯაოს მედალოსანს მოვუგე, სხვა მეტოქეებიც დავამარცხე. ჩემს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ებრაელ ძიუდოისტებთან ბრძოლის უფლება არ მქონდა. ჩემი ქვეყნიდან დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ ტურნირში მონაწილეობა არ უნდა მიმეღო. ჩემს ერთადერთ კითხვაზე, თუ რატომ არ უნდა მეჭიდავა, პასუხი ასეთი იყო – ეს არის ჩვენი კანონი და ვინც ამ კანონს არ ეთანხმება, მას პრობლემები შეექმნება.

შემეშინდა, რომ ჩემს ოჯახს რამეს დაუშავებდნენ და ბოლომდე არ მიბრძოლია. ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში (ლუკა მაისურაძესთან) ჩემი შესაძლებლობის მხოლოდ 10 პროცენტი გამოვავლინე. მე მებრძოლი ვარ და მსურს, ყველგან ვიბრძოლო, სადაც ეს შეიძლება, მაგრამ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობ, რომელიც ამის უფლებას არ მაძლევს.

მე სპორტსმენი ვარ, არ ვარ პოლიტიკოსი და არასდროს არ ვყოფილვარ პოლიტიკაში ჩართული. მინდა ოლიმპიადაზე ვიასპარეზო. მადლობა ღმერთსა და ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს, რომელმაც გარანტია მომცა, რომ ოლიმპიადაზე ვიასპარეზებ. ჩემი ოცნება ახდება და მექნება შანსი, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გავხდე.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ მოლაი ნახევარფინალში გამარჯვების შემთხვევაში ოქროს მედლისთვის საბრძოლველად ისრაელის წარმომადგენელ საგი მუკს შეხვდებოდა. ეს კი სწორედ ის ბრძანება იყო, რომელიც არ უნდა აესრულებინა. ამიტომაც, მოლაი ბელგიელ ძიუდოისტთან „დამარცხდა“. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, რომ მოლაი არ იბრძოდა.

შემდეგ იყო მე-3 ადგილისთვის ბრძოლა ლუკა მაისურაძესთან. ცხადია, ჩვენ ქართველის ჭიდაობას არ ვაკნინებთ, მაგრამ მოლაის არც ამ შეხვედრაში სურდა გამარჯვება, რადგან პედიესტალზე უნდა დამდგარიყო ებრაელი სპორტსმენის გვერდით. მეტიც, საგი მუკის ფინალი რომ მოეგო (ასეც მოხდა), ისრაელის ჰიმნი უნდა აჟღერებულიყო. ამიტომ, მოლაიმ არც ბრინჯაოსთვის იჭიდავა.

ბორჯღალოსნების შემადგენლობა მსოფლიოს თასისთვის ცნობილია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების თავკაცმა მილტონ ჰეიგმა, ის 31 ბორჯღალოსანი დაასახელა, რომლებიც იაპონიაში, 2019 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ღირსებას დაიცავენ.

აღსანიშნავია, რომ ნაკრებს დაუბრუნდა მამუკა გორგოძე, რომელიც ნაკრებს ჯერ კიდევ 3 წლის წინ დაემშვიდობა, მაგრამ ბოლოდროინდელი ტრავმების ფონზე, გუნდში არსებული სიტუაცია გაითვალისწინა და გულშემატკივართა გასახარად, ბორჯღალოსნებს თხოვნას – ნაკრებში დაბრუნებულიყო, დასთანხმდა. მისი საკითხი 99%-ით გადაწყვეტილია და კლუბის ინტერესების გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში რეალობად უნდა იქცეს. ის ერთადერთი მორაგბეა, რომელსაც წელს გუნდთან ერთად მზადების პროცესი არ გაუვლია და გუნდს 8 სექტემბრის შემდეგ, ფორს მაჟორში შეუერთდება (თუ ტულონის ინტერესები არ გადაიკვეთება).

ეს მისთვის მე-4 მსოფლიო თასი იქნება, ისევე, როგორ დავით კაჭარავასთვის.

მე-5 მსოფლიო თასი იქნებოდა მერაბ კვირიკაშვილისთვის, რომელმაც შეკრებაზე საზარდული დაიზიანა და ამის გამო გამოაკლდა გუნდს.

რაგბის უდიდეს ფორუმზე მესამედ ითამაშებენ ჯაბა ბრეგვაძე, ლაშა მალაღურაძე, გიორგი ნემსაძე, სანდრო თოდუა და შალვა სუთიაშვილი.

31 მორაგბიდან 13 მსოფლიო თასზე „ნათლობას“ მიიღებს, მათგან ყველაზე ახალგაზრდა კვაჭი ვანო კარკაძეა, რომელსაც 19 წელი ახლახან შეუსრულდა. სულ გუნდში 17 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა.

იაპონიაში წამსვლელთაგან 22 ლეგიონერია, 9 კი დიდი 10-ის კლუბებს წარმოადგენს. შერკინების ხაზში შიდა ჩემპიონატიდან მხოლოდ ერთი მორკინალი გვყავს, ლეგიონერთა უმეტესობა კი საფრანგეთის ტოპ 14-ის წარმომადგენელია.

იაპონიაში გამგზავრებამდე, ბორჯღალოსნები ედინბურგში ჩავლენ და შოტლანდიის ნაკრებთან „მარიფილდზე“ დასკვნით მოსამზადებელ შეხვედრას გამართავენ.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა იაპონიაში ასეთი იქნება:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, შალვა მამუკაშვილი, ვანო კარკაძე, ლევან ჩილაჩავა, ბექა გიგაშვილი, გიორგი მელიქიძე, კოტე მიქაუტაძე, გიორგი ნემსაძე, შალვა სუთიაშვილი, ბექა საღინაძე, ლაშა ლომიძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, ბექა გორგაძე, მამუკა გორგოძე.

უკანა ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, გიორგი ბეგაძე, ლაშა ხმალაძე, თედო აბჟანდაძე, ლაშა მალაღურაძე, ზურაბ ძნელაძე, მერაბ შარიქაძე, თამაზ მჭედლიძე, დავით კაჭარავა, გიორგი კვესელაძე, მირიან მოდებაძე, ალექსანდრე თოდუა, იოსებ მათიაშვილი.

შედეგები

2 სექტემბერი

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

შტუტგარტი-ბოზუმი 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

პარიზი-შამბლი 0:3

გრენობლი-ლანსი 2:2

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობა

ჯაცები

მონფილსი-ანდუჰარი 6:1,6:2,6:2

ჩილიჩი-ნადალი 3:6,6:3,1:6,2:6

ქალები

თაუსენდი-ანდრეესკუ 1:6,6:4,2:6

კალათბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

იტალია-ანგოლა 92:61

ვენესუელა-კოტ დივუარი 87:71

ნიგერია-არგენტინა 81:94

ტუნისი-ირანი 79:67

სერბეთი-ფილიპინები 126:67

ჩინეთი-პოლონეთი ..... 76:79(ოტ)

პუერტო რიკო-ესპანეთი 63:73

ს.კორეა-რუსეთი 73:87

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ფრანგული ავტომობილი; 2. რაგბის გუნდი საქართველოში; 3. უდაბნო აფრიკის სამხრეთში; 4. მზის ღვთაება ეგვიპტურ მითოლოგიაში; 5. ქართველი პაროდისტი, მინიატურების თეატრის ფუძემდებელი; 6. ყურძნის არაყი; 7. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 10. ფულის ერთეული ალბანეთში; 11. უნგრეთის დედაქალაქი; 12. იარაღის, საწყობის, არსენალის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რეზინისძირიანი სპორტული ფეხსაცმელი; 16. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 18. რიგითი მეზღვაური; 19. უსაფუძვროდ გამომცხვარი პური; 21. მტაცებელი ცხოველი; 24. გადასატანი მიმღებ-გადამცემი რადიოსადგური.

თარაზულად: 1. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში; 3. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 3. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 9. ტკბილი, მოწითალო ფერის ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 14. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 15. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 20. ავსტრიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. ამჟავებული ღვინო; 23. ანგორული თხის მატყლი; 25. ჩაკეტილი მრუდი მათემატიკაში; 26. გერმანელი მწერალი; 27. ქალაქი ჩეხეთში; 28. „შუშანიკის წამების“ ავტორი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ირინა ჭურაძე, შვილები ქეთევანი და რუსუდანი, და იზო, სიძეები ზაზა ლეკვეიშვილი, ვოვა ბუხაიძე, ჯონი გეფერიძე, შვილიშვილები დავითი, დემნა, სერაფიმა, ნიკოლოზ, ანასტასია, ილია, ელენე, დისშვილები თამუნა, ნინო გეფერიძეები მეუღლეებით ალეკო ტარიელაძე, დათო ფორჩხიძე, შვილებით ლიკა, დათო, თინათინ ტარიელაძეები, გიგა, ნიკუშა ფორჩხიძეები, ცოლისძმა იაზი ჭურაძე, რძალი მანანა ჩხაიძე, გივი, გოგა, პაპუნა ჭურაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან მრავალი პრიზისა და სიგელის მფლობელის, ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატის, კოლორიტი პიროვნების, ოჯახზე, სამშობლოზე, სანათესავოსა და სამეგობროზე უზომოდ შეყვარებულის

ნუგზარ ვალერიანეს ძე ჩინჩალაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 5 სექტემბერს, ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. დოგმა; 2. სიამი; 3. ჰუდზონი; 4. კანა; 5. დუყი; 6. ენერგია; 9. პიქტოგრაფია; 10. ესპანიოლი; 11. ზაპოლოჟიე; 14. ბაფტა; 16. მზაღო; 18. ნეფრიტი; 20. მიტინგი; 23. სოდა; 24. ფურია; 25. ჰაიტი; 26. ვანი.

თარაზულად: 7. ბუმერანგი; 8. ჭაბუკიანი; 12. ჩორსუ; 13. დინგო; 15. ფეტვი; 17. ფონოგრამა; 19. ფიატი; 21. ეფელი; 22. აიეტი; 27. სტივიდორი; 28. ლიმნოლოგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჯეკი; 2. ირი; 3. რაფინადი; 4. პო; 5. პირამიდა; 6. ჯარა; 7. სანჩესი; 10. ბარი; 11. სიურპრიზი; 12. ვალმარტი; 13. ფეტა; 16. ჭორფლი; 18. სალიამი; 19. ასორტი; 21. შტილი; 24. დაზგა.

თარაზულად: 1. ჯამბაზი; 3. როკაპი; 8. მითანა; 9. კუბა; 14. ბროლა; 15. ბეშუმი; 17. ლუზა; 20. დეპეშა; 22. დვალი; 23. სლაიდი; 25. ლია; 26. ფინო; 27. ჩილე; 28. ზანზალაკი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9683	ევრო — 3.2464
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5706	100 რუსული რუბლი — 4.4407

ამინდის პროგნოზი 4 სექტემბერი

სამთავისის კომპლექსში უნებართვო სამუშაოები დაფიქსირდა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამთავისის კომპლექსში უნებართვო სამუშაოები დაფიქსირდა. საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო უწყების საბჭოსთან შეუთანხმებლად ადგილობრივი სასულიერო პირების ინიციატივით კომპლექსის ეზოში სავალი გზის მონაკვეთი ეწყობა.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტებთან ერთად სამთავისში სააგენტოს კვლევის სამსახურის თანამშრომლებიც იმყოფებიან, რომელთა წინასწარი შეფასებით ახლად მოწყობილი ინფრასტრუქტურული ელემენტი ტაძრის მხატვრულ-არქიტექტურულ ღირებულებებთან შეუთავსებელია და კორექტირებას საჭიროებს. საფეხმავლო ბილიკი ნიჩბისის ქვის ტრადიციული ქართული წყობითაა დაგებული.

უნებართვო სამუშაოების დაუყოვნებლივი შეწყვეტის მოთხოვნით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ადგილობრივ ეპარქიას წერილობით გაფრთხილებას დღესვე გაუგზავნის. ახლად გამოვლენილი ფაქტის შესახებ ეცნობება საქართველოს საპატრიარქოსაც. წარმოებული უნებართვო პროცესის შედეგების გამოსასწორებლად სააგენტო ეპარქიას 6 თვის ვადაში სათანადო საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას და მის კულტურული მემკვიდრეობის საბჭოსთან შეთანხმებას მოსთხოვს. სამთავისის კომპლექსში განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს სააგენტო უახლოეს დღეებში გაასაჯაროებს.

პიანისტი გიორგი გიგაშვილი იტალიური კონკურსის ფინალისტებშია

პიანისტი გიორგი გიგაშვილი იტალიაში მიმდინარე ბუზონის საერთაშორისო პიანისტთა კონკურსის 6 ფინალისტთა შორის მოხვდა.

კონკურსში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პიანისტი მონაწილეობს. ქართველი გიორგი გიგაშვილი კი საუკეთესოებში იტალიელ, რუს, ბულგარელ და იაპონელ პიანისტებთან ერთად დასახელდა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

4 სექტემბრისთვის

ვერძი – იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ** კურო** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** – საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** – სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** – სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** – დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** – დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე – ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

დედამთილი რძალს ურეკავს და ეკითხება:

– აბა, როგორაა ჩემი შვილი?

– როგორ უნდა იყოს? სვამს, ქალებში დაეთრევა, მცემს...

– მადლობა ღმერთს, მთავარია, ავად არ ყოფილა!

•••

მასწავლებელი კლასს მიმართავს:

– ვინც ფიქრობს, რომ სულელია, ფეხზე ადგეს!

კლასში სიჩუმეა და უცბად ფეხზე გიგი წამოდგება.

– რა, გიგი, თავს სულელად თვლი?

– არა, უბრალოდ, არ მომეწონა, ფეხზე მხოლოდ თქვენ რომ იდექით...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ქალი და სექსი ისეა, როგორც ჩინოვნიკი და ქრთამი.

– ეგ როგორ?

– როგორ და, თავიდან: – ოჰ, არა, არა! შემდეგ: – ასე ცოტა?!

•••

სამხედრო ნაწილის მეთაური ჯარისკაცს ეკითხება:

– შენ საიქიო ცხოვრების გჯერა?

– ???

– ნაწილის შემოსასვლელში ბებია გელოდება, ერთი თვის წინ მის გასვენებაში რომ იყავი წასული.

•••

კაცს ეკითხებიან:

– რომელი ქვა გიცავთ?

– რომელიც ხელში მომყვება, ის დამიცავს.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როგორ შეიძლება ყველაზე იაფად დაბადების დღის აღნიშვნა?

– კალენდარზე წითელი ფანქრით.

•••

ნაცნობი ქალს ეუბნება:

– დაბადების დღეს გილოცავ! რამდენის გახდი?

– როდესაც გავთხოვდი, მე 20 წლის ვიყავი, ჩემი ქმარი კი 40-ის. ანუ მასზე ორჯერ ახალგაზრდა ვიყავი. ახლა ჩემი ქმარი 70 წლისა, ასე რომ, მე 35-ის ვარ.

•••

საწარმოში შემოწმებაზე მისული კომისიის ხელმძღვანელი დირექტორს ეუბნება:

– ეს რა საგიჟეთია თქვენთან!

– ქალაქში საუკეთესო!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გაზეთი „ახალი თაობა“ და ვებგვერდი AKHALITAOBA.GE აცხადებენ 50%-იან საზაფხულო ფასდაკლებას რეკლამის განთავსებაზე 1 სექტემბრის ჩათვლით. დარეკეთ 577 46 06 59 ან 595 18 37 09

ნანუკა გოგიჩაიშვილი ნიკოლოზ ნაყოფიაზე დაინიშნა

მოდელი ნანუკა გოგიჩაიშვილი დაინიშნა. მისი რჩეული ნიკოლოზ ნაყოფიაა. მან ნანუკას ხელი და გული მეგობრების გარემოცვაში ულამაზესი თაიგულით და ბეჭდით სთხოვა.

მოდელმა მის თხოვნას თანხმობით უპასუხა:

– მადლობა ყოველი წამისთვის. შეუდარებელი ხარ.

ნანუკას და ნიკოლოზის ბედნიერების ვიდეო ინტერნეტში გავრცელდა, რასაც უამრავი კომენტარი, მილოცვა და გაზიარება მოჰყვა.

რუსთაველის თეატრი ჩინეთში მიიწვიეს

რუსთაველის თეატრი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გასტროლს გამართავს.

10-24 სექტემბერს თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტისა და ჩინეთის თეატრის ასოციაციის ოფიციალური მიწვევით, რუსთაველის თეატრი მონაწილეობას მიიღებს თეატრის საერთაშორისო ფესტივალში და წარადგენს სპექტაკლს „დაკანონებული უკანონობა“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რობერტ სტურუა, რეჟისორი კი ნიკოლოზ-ჰაინე შველიძე.

ირანელი ძიუდოისტი სამშობლოდან გაიქცა

ახლახან დასრულებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ძიუდოში, 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ერთ-ერთი ფავორიტი ირანელი საიდ მოლაი იყო. თუმცა, მედლის გარეშე დარჩა. ამას თავისი მიზეზები აქვს, რომელიც საკმაოდ სკანდალური ისტორიაა.

მოლაი იაპონიიდან გერმანიაში წავიდა და, ჯერჯერობით, სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს.

საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ირანელმა ძიუდოისტებმა, მოჰამად მოჰამადიმ და მოლაიმ, განცხადება გაავრცელეს, სადაც აღნიშნეს, რომ ტურნირში ვერ იასპარეზებდნენ, რადგანაც არსებობდა იმის შანსი, რომ ისინი ებრაელ ძიუდოისტებს შეხვდებოდნენ. მათთან ჭიდაობას ირანის ძიუდოს ფედერაცია სპორტსმენებს უკრძალავს.

მოლაი ძიუდოს საერთაშორისო ფე-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ხვიჩა კვარაცხელია: „რუბინში ლიდერი არ ვარ“

ყაზანის რუბინში ქართული დიასპორა შეიკრიბა. ერთ-ერთი მათგანი ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც ზურიკო დავითაშვილთან ერთად საქართველოს ნაკრებშიც არის გამოძახებული. რუსული მედია 18 წლის შემტევით დაინტერესდა და მასთან ინტერვიუ გამოქვეყნდა.

– ხვიჩა, რუსეთში ოჯახის გარეშე ცხოვრობთ. როგორ უმკლავდებით ამას 18 წლის ასაკში?

– ძნელია და ეს განსაკუთრებულად რთული მაშინ იყო, ლოკომოტივში რომ გადავედი. მიჭირდა, სულ ოჯახში ვრეკავდი ტელეფონით. ყაზანში შედარებით ადვილია, რადგან პირველი ტალღა გადავიარე. თუ გსურს დიდი ფეხბურთი ითამაშო, მსგავს სირთულეებს უნდა გაუმკლავდე.

– ალბათ, ხვდებოდით, რომ ოდესღაც უცხო ქვეყანაში წასვლა მოგიწევდათ. ადრეული ასაკისთვის არ ემზადებოდით ამისთვის ფსიქოლოგიურად?

– სანამ ფაქტის წინაშე არ დადგები, მსგავსი რამისთვის წინასწარ ვერ მოემზადები. ბავშვობაში არ ვფიქრობდი, თუ ასე ადრე წავიდოდი უცხოეთში, მხოლოდ საკუთარი თამაშის გაუმჯობესება მსურდა.

– არის რამე განსაკუთრებული, რაც რუსეთში ოჯახის გარდა გენატრებათ?

– ხინკალი! ძალიან მიყვარს სახლში დამზადებული ხინკალი. თავიდან ძალიან ძნელი იყო მეგობრების და ნაცნობების გარეშე, ახლა შევეჩვიე.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. წყლის საქაჩი მექანიზმი; 2. მაღალხარისხოვანი მინა; 3. უმოტორო თვითმფრინავი; 4. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 5. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი; 6. ძვირფასი სამშენებლო მოსაპირკეთებელი მინერალი; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული ღვინო; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ქართული ბანკი; 16. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 18. მექანიკური სარკინიგზო ურიკა; 20. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 23. ფულის ერთეული ურუგვაიში; 24. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 25. დიდი სიცხე; 26. ფიჯის დედაქალაქი.

თარაზულად: 7. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისთვის; 8. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 21. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 22. რამის ზედაპირის ფართობის ერთეულზე მოქმედი ძალა; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. ფრანგული ვაშლის არაყი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა